

ახლებური ვითარება სამხრეთ ოსეთში და ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში

A3



მოპარული ტელეფონი გამოუსადეგარი გახდება

A4



მატარებლით ევროპული სტანდარტებისკენ

A8



www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 26 იანვარი, 2006 წელი. №16 (1168) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ლუსტრაცია - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს



დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში გაუთავებლად საუბრობენ ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე, თუმცა დღემდე საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

A2

## სამართალი

### ადამიანის უფლებების ყოფილი დამცველი ყოფილი კოლეგების წინააღმდეგ

გოგა ონიანი ომბუდსმენის წარმომადგენლების ციხეში არშეშვებას ამართლებს და აცხადებს, რომ ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლების სპეციალურ საშვებს, რომლითაც ისინი საპატიმროებში შედიოდნენ, ვადა გაუვიდა.

A4

## საზოგადოება

### უნივერსიტეტი, როგორც კულტურის „სექენდ ჰენდი"

რატომ გავაწვალეთ ბეჯითი ახალგაზრდები, თუ იმავე ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს დავახვედრებდით, სადაც სწორედ ანგარებით უნდა ჩააბარო?

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 26/01 | 27 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | -6 | 6 |
| ტყიბული | 1 | 5 |
| სოხუმი | 3 | 5 |
| გორი | -7 | 2 |
| ონი | -11 | -2 |
| ზუგდიდი | 6 | 6 |
| ახმეტა | -5 | 6 |
| სამტრედია | 6 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1824 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1765 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სტუმარი | A 8 |


# უვე შრამი: საქართველოსთვის ენერგიის მიწოდების შეწყვეტა იყო უპასუხისმგებლო და ლაჩრული ქმედება

საქართველოში უკვე რამდენიმე დღის მანძილზე შექმილ ენერგოკრიზისთან დაკავშირებით, გუშინ კომენტარი გააკეთა გერმანიის ელჩმა საქართველოში უვე შრამმა. **"ევროპის წარმომადგენლები ღრმად ვუთანაგრძნობთ საქართველოს მოსახლეობას, რომელიც ასე დაზარალდა შექმნილი ვითარების გამო,"** - ამბობს გერმანიის ელჩი.

გერმანელი დიპლომატის შეფასებით, საქართველოსთვის ენერგიის მიწოდების შეწყვეტა უპასუხისმგებლო და ლაჩრული ქმედება იყო. **"უპასუხისმგებლო, რადგანაც ვინც ეს ჩაიდინა, არ უფიქრია იმ შესაძლო შედეგებზე, რასაც ამგვარი ქმედება გამოიწვევდა. ეს იყო ლაჩრული საქციელი, რადგანაც უმეტესად საზოგადოების ყველაზე დაუცველ წევრებზე იქონია გავლენა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ, ევროპელები, ქართველების გვერდზე ვდგავართ ამ მძიმე დღეს,"** – განაცხადა უვე შრამმა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰეიკი ტალვიტის გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე.



*"ჩვენ, ევროპელები, ქართველების გვერდზე ვდგავართ".*

# როდის განახლდება გაზის მოწოდება?

### საქართველოში ფიქრობენ, რომ აღდგენის პროცესი ხელოვნურად ჭიანურდება

*გაზის გარეშე დარჩენილ მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებთა უმრავლესობისათვის გათბობის ალტერნატიული საშუალება ელექტროღუმელებია. აქედან გამომდინარე, ელექტროენერგიის მოხმარება 500-650 მეგავატამდეა გაზრდილი. აზერბაიჯანიდან შემოსული 2,5 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი კი მეცხრე ენერგობლოკისთვის და თბილისის მოსახლეობის 40-45 პროცენტისთვის არის საკმარისი. გაზსადენზე სარემონტო სამუშაოების გაჭიანურებას პრეზიდენტი საეჭვოდ მიიჩნევს და პროცესის დასაჩქარებლად ქართველი სპეციალისტების ჩართვას ითხოვს.*

ნათია მსხილაძე

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ირწმუნებოდა, რომ პიკის საათზე ქვეყნის ენერგომომარაგებაში პრობლემა არ შექმნილა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რამდენიმე მსხვილი საწარმო - მათ შორის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, "აზოტი", ცემენტის ქარხნები - გამორთული იყო.

**"მიუხედავად რთული ვითარებისა, როცა ორი ქვესადგური გამორთულია და სომხეთიდან იმპორტი შეჩერებულია, ელექტროენერგიის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე პრობლემები არ არის. გუშინწინ შექმნილი 1600-მეგავატიანი პიკი საქართველოს ადგილობრივი გენერაციის მიერ დაიფარა. ამას დაემატა იმპორტი თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და მაღალი ძაბვის ორი ელექტროგადამცემი ხაზიდან - "სალხინოდან" და "დარიალიდან,"** - განაცხადა გილაურმა.

ენერგეტიკის მინისტრის თქმით, განსაკუთრებული პრობლემა შესაძლოა მცირე ინციდენტის შემთხვევაშიც შეიქმნას, ვინაიდან საქართველოს ენერგომომარაგება რეზერვის გარეშე მუშაობს.

**"მოზდოკი-თბილისის გაზსადენზე მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების დასათვალიერებლად საქართველოს წარმომადგენელი კვლავ არ გაუშვეს. ონისე სუჯაშვილი ორი დღეა ცდილობს, მონაწილეობა მიიღოს აღდგენითი სამუშაოების დათვალიერებაში, თუმცა ქართული მხარის მცდელობა უშედეგოდ მთავრდება,"** – აღნიშნა გილაურმა.

უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს აზერბაიჯანიდან შემოსული ბუნებრივი აირი სომხეთსაც მიეწოდებოდა და იმპორტის მოცულობაც, რეალურად, ამ მიზეზით შემცირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თოვლი თბილისში

A5




# ლიტერატურული კონკურსი "საბა"-2006



## გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ 2006 წელს უკვე მეოთხედ გაიმართება ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოება, რომლითაც მოხდება ამჯერად უკვე 2005 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" დამფუძნებლები არიან სს თიბისი ბანკი, გაზეთი "24 საათი" და მწერალთა გაერთიანება "ქართული პენ-კლუბი". პრემიის მიზანია გასული წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

წლეულსაც პრემიის გაცემა მოხდება ტრადიციულად 23 აპრილს. **პრემიაზე განიხილება 2005 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები.**

**ლიტერატურული პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:**

წლის საუკეთესო რომანი
წლის საუკეთესო პოეტური კრებული
წლის საუკეთესო პიესა
წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
წლის საუკეთესო თარგმანი
წლის საუკეთესო დებიუტი

**იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2005 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთ ჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, გთხოვთ, 31 იანვრამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი და გამომცემლობა.**

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ფაქსი: 772 774**
**e-mail: mdzirkvelishvili@tbcbank.com.ge**
**info@tbcbank.com.ge**
ან წერილობითი სახით მოგვაწოდოთ მისამართზე:
*თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7, "თიბისი ბანკის" სათავო ოფისი*

*საკონტაქტო პირი: მაია ძირკველიშვილი*
*თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## სტეფანწმინდის მოსახლეობა 20-გრადუსიანი ყინვის პირისპირ დარჩა

პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში ვასილ მალღაფერიძე აცხადებს, რომ სტეფანწმინდის რაიონში საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. ვინაიდან რუსული მხარე აფეთქებული გაზსადენის აღდგენას აჭიანურებს, ყაზბეგის რაიონში მოსახლეობას საწვავისა და გაზის ყოველგვარი მარაგი ამოეწურა. "რუსები გვპირდებოდნენ, რომ უახლოეს საათებში აღადგენდნენ გაზსადენს, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ჩემი ინფორმაციით, რუსები გაზსადენის აღდგენას პოლიტიკური მიზეზით აფერხებენ და იქ ჩვენს სპეციალისტებსაც არ უშვებენ. ყაზბეგის მოსახლეობას გათბობის ბოლო მარაგი ამოეწურა და 20-გრადუსიან ყინვასთან პირისპირ დარჩა," - განაცხადა მალღაფერიძემ.

გუბერნატორის თქმით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სტეფანწმინდის რაიონის მოსახლეობის დასახმარებლად საგანგებო ზომები მიიღო. "გამოყოფილია დიზელის 40 ტონა საწვავი, რომლის გადატანას ყაზბეგის რაიონში დღეს შევეცდებით. თუ ეს დღეს ვერ შევძელით, ხვალ შეიძლება გზა საერთოდ ჩაიკეტოს. ამიტომაც ავტოკოლონა ყაზბეგის მიმართულებით მოძრაობას უახლოეს საათებში დაიწყებს. რისკის ფაქტორი, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ ჩვენ მოსახლეობას 20-გრადუსიანი ყინვის პირისპირ ნამდვილად არ დავტოვებთ," - განაცხადა გუბერნატორმა. **მედიანიუსი**

## გელა ბეჟუაშვილი ბრიუსელში ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

ბრიუსელში ვიზიტით მყოფი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ხოსე ანტონიო ალონსო სუარესს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ენერგოუსაფრთხოების საკითხები და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გელა ბეჟუაშვილმა თავის ესპანელ კოლეგას საქართველოში ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ინფორმაცია მიაწოდა. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ენერგობერკეტების გამოყენება მიუღებელია.

ხოსე ანტონიო ალონსო სუარესმა, ევროინტეგრაციასა და ნატო-ში გაწევრიანებაზე საუბრისას, საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. გელა ბეჟუაშვილმა ესპანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საქართველოში მოიწვია. ხოსე ანტონიო ალონსო სუარესმა მოწვევა მიიღო და მისი ვიზიტი საქართველოში უახლოეს მომავალში გაიმართება.

მინისტრებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ესპანეთში სავარაუდო ვიზიტის შესახებ. შეხვედრის დასასრულს ესპანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაადასტურა ესპანეთის, როგორც ნატო-ს და ევროკავშირის წევრი ქვეყნის, სრული მხარდაჭერა საქართველოსადმი. **ინტერპრესნიუსი**

## FM ცხელი 92.0 უცნობი თავისუფლება

### გადაცემის სტუმრები არიან პარლამენტარი გივი თარგამაძე და ექსპერტი ირაკლი მენაღარიშვილი

**გივი თარგამაძე:** ვერ დაგეთანხმებით, რომ საქართველოს მთავრობა თავის მოსახლეობაზე არ ზრუნავს, ჩვენ შეზღუდულები ვართ, მაგრამ ყველა შესაძლო ვარიანტს ვიყენებთ.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** საქართველოს ხელისუფლება აპირებს თუ არა, მაგისტრალური გაზსადენი რუსეთს მიჰყიდოს? ამის შესახებ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები სულ ახლახან საუბრობდნენ....

**გ. თ.:** ჩემი პოზიცია იყო და არის, რომ მაგისტრალის რუსეთისთვის მიყიდვა არ შეიძლება. მით უმეტეს, იმ სიტუაციაში, როცა გაზის შემოტანის ალტერნატიული ვარიანტი სულ მალე გაგვიჩნდება. იმედია, წლევანდელი მოვლენები მთლიანად მსოფლიოში დააჩქარებს ალტერნატიული გზების მოძებნის პროცესს. ჩვენ ყველა შემთხვევაში ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებაზე ვიქნებით, მაგრამ როცა თავდასხმა დაიწყო ოპოზიციის მხრიდან, ეს პატიოსანი საქციელი არ იყო. ეს თემა ხელისუფლებამ გამოიყენა ტაქტიკურ ნაბიჯად მოლაპარაკებისას გაზის ახალ ტარიფებთან დაკავშირებით. მოლაპარაკების დროს გამოყენებული ხერხები არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. მთავარია, რომ ასეთი ნაბიჯები არ გადადგმულა.

**ა. ე.:** მეორე სტუმარი გახლავთ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. სამშვიდობო ძალების თემა ერთი დიდი თავისტკივილია. საქართველოს ხელისუფლება მთავრობას სთხოვს, 7 თებერვალს რუსეთის სამშვიდობოების გაყვანის გეგმა წარადგინოს და პარლამენტმა 15 თებერვალს მათ გაყვანას მხარი დაუჭიროს. რა მოხდება შემდეგ? 15 წელია უკვე, ვერც მათი გაყვანა ხერხდება და ვერც ინტერნაციონალიზაცია. რა იყო ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტი და მოხერხდება თუ არა ამ ვითარებაში სამშვიდობოების გაყვანა? გივი თარგამაძე აცხადებს, რომ მოხდება ინტერნაციონალიზაცია...

**ირაკლი მენაღარიშვილი:** ამ თემაზე კომენტარის გაკეთება რამდენიმეჯერ მომიხდა. სამშვიდობოების პრობლემის გადაწყვეტა არ შეიძლება დამოუკიდებლად, ეს თემა ერთ-ერთი კომპონენტია კონფლიქტის მოგვარების პრობლემისა და მისი გადაწყვეტა მსოლოდ ერთიანი სტრატეგიით არის შესაძლებელი. სხვაგვარად არარეალური ამოცანაა. შეიძლება თუ არა, საქართველომ სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტა მოითხოვოს? რა თქმა უნდა, შეიძლება. უამრავი სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები. განცხადება, რომ ინტერნაციონალიზაცია მოხდება, თამამ განცხადებად მეჩვენება. ეჭვი მეპარება, რომ ასეთი სტრატეგიული ხაზი შეთანხმებული იყოს. რაც შეეხება შეკითხვას, სამშვიდობოების გაყვანა აქამდე რატომ ვერ მოხერხდა, იგივეს გავიმეორებ, ეს ცალკე თემა არ გახლავთ. ეს ოპერაცია სერიოზული კრიტიკის საგანი ადრეც იყო, დაწყებული გენერალური ასამბლეის ტრიბუნით და დამთავრებული თანამეგობრობის ყველა ფორუმით, სადაც საქართველოს საშუალება ჰქონდა, საკუთარი პოზიცია გამოეხატა. თუმცა, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმ ძვრებზე, რაც გვაქვს და რასაც გამოყენება უნდა. ამას ყველაფერს დრო სჭირდება. თავის დროზე პარლამენტში გაისმა, რომ აჩქარება საჭირო არ არის და საკითხს გონივრულად უნდა მივუდგეთ. არ მესმის, რატომ შეიცვალა პოზიცია.

**რადიომსმენელი:** ბატონ ირაკლის ვეთანხმები ყველაფერში. ემოციებზე ქვეყანა ვერ აშენდება. მახსოვს, ზვიად გამსახურდიამ რომ თქვა, შევარდნაძე უმუშევარი დარჩაო. ბოლოს ვინც დარჩა უმუშევარი, ვიცით. ასევე ჩვენმა პრეზიდენტმაც ჯერ ლანძღა რუსეთი, ვერ დაგვაჩოქაო. დღეს უგაზოდ ვართ, ჩემი ახლობლების უმრავლესობა ავად არის. მაინტერესებს, შეიძლებოდა თუ არა, 2,5 მილიონი კუბომეტრი გაზი მოსახლეობისთვის მიეცათ, ხოლო მეცხრე ბლოკი მაზუთით აღდგენილიყო?

**ა. ე.:** არ ვიცი, ირაკლი მენაღარიშვილი რამდენად გამოდგება ენერგეტიკის საკითხებში ექსპერტად და, საერთოდ, გვაქვს თუ არა მაზუთი...

**ი. მ.:** გეთანხმებით, ეს სპეციალისტის თემაა, თუმცა ერთ მინიშნებას გავაკეთებ... აზერბაიჯანის გავლით საქართველოსთვის გაზის მოწოდების შემცირება, უცნაურად დაემთხვა განცხადებას იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯანის გაზი მიდის სომხეთში.

**ა. ე.:** სახელმწიფო დეპარტამენტი ასე იოლად არ ამბობს ხოლმე რამეს...

**ი. მ.:** გეთანხმებით... უბრალოდ, მე მინიშნება გავაკეთე ერთ მომენტზე და თუკი ექსპერტები დასკვნას გააკეთებენ, ეს ფაქტი გასათვალისწინებელია.

# ლუსტრაცია - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

გიორგი ასანიშვილი

*დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში გაუთავებლად საუბრობენ ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე, თუმცა დღემდე საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრების აზრით, ამ კანონის მიღება ისეთ ეფექტს ველარ მოიტანს, როგორიც მას 10-15 წლის წინათ ექნებოდა, მაგრამ საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურის გამომზეურობა მაინც მიზანშეწონილია.*



*ოპოზიციური ფრაქციის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს არასამთავრობო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ.*

ფრაქციის თავმჯდომარის დავით ზურაბიშვილის ვარაუდით, საბჭოთა სპეცსამსახურებთან დაკავშირებული ადამიანების რიცხვი საქართველოში დაახლოებით 200 ათასს აღწევს. დეპუტატი შენიშნავს, რომ ყოფილი აგენტების ასეთი სოლიდური რაოდენობა სულაც არ არის საგანგაშო - მათი აბსოლუტური უმრავლესობა 50-60 წელს გადაცილებულია და, ამდენად, ნაკლებად აქვთ იმის პერსპექტივა, რომ საკვანძო თანამდებობები დაიკავონ და ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე არსებითი გავლენა მოახდინონ.

**"უკეთესი იყო, ლუსტრაციის შესახებ კანონი 10-15 წლის წინათ მიგვეღო, რადგან ამას მოჰყვებოდა მკვეთრი საკადრო ცვლილებები ხელისუფლებაში და დღეს სულ სხვა ქვეყანა გვექნებოდა,"** - დაკარგულ დროს მაინც მისტირის დავით ზურაბიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებას "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო პროგრამაც ითვალისწინებდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ საკანონმდებლო ინიციატივა ოპოზიციამ აიღო ხელში. "დემოკრატიული ფრონტის" წევრი გია თორთლაძე იხსენებს, რომ, როდესაც ის უმრავლესობაში იყო, პირველივე სხდომაზე დააყენა აღნიშნული კანონის მიღების საკითხი, თუმცა სახელისუფლებო ფრაქციის ზოგიერთი წევრის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

ასეა თუ ისე, მოსახდენი მაინც მოხდა და "ფართოდ რეკლამირებული" კანონის მიღების გზაზე პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა – ფრაქცია "დემოკრატიულმა ფრონტმა" გუშინ "ყოფილი საბჭოთა კავშირის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოების შესახებ" კანონპროექტის პრეზენტაცია მოაწყო, რომელსაც, ფრაქციის წევრების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

კანონპროექტით განსაზღვრულია იმ პირთა ნუსხა, ვისზედაც კანონის მოქმედება გავრცელდება და თანამდებობრივ შეზღუდვებს დაექვემდებარებიან. ესენი არიან: საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლები და სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ("კაგებე") ოფიცრები, საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ცეკა-ს წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტის მდივნები, აგრეთვე, საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

მათთვის დაწესებული თანამდებობრივი შეზღუდვები იმით გამოიხატება, რომ აეკრძალებათ ისეთი პოსტების დაკავება, როგორიც არის, მაგალითად, საკონსტიტუციო, უზენაესი და საერთო სასამართლოების მოსამართლე, მინისტრი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის აპარატისა და მთავრობის კანცელარიის საჯარო თანამდებობა და სხვა.

**"კანონის მოქმედება რიგით მოქალაქეებზე არ გავრცელდება. ლუსტრაცია კუდიანებზე ნადირობაში არ უნდა გადაიზარდოს და ძალიან ვრცელი სფერო არ უნდა მოიცვას,"** - სიფრთხილისკენ მოუწოდებს თანაფრაქციელებს კახა კუკავა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელშიც პარლამენტის ყველა ფრაქცია თითო წევრით იქნება წარმოდგენილი და რომელიც მოაგროვებს მონაცემებს იმ პირთა შესახებ, ვინც საბჭოთა სპეცსამსახურებთან საიდუმლოდ თანამშრომლობდა.

თუ ასეთი პირი კანონის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში თავისი აგენტურული საქმიანობის შესახებ სახელმწიფო კომისიას აუწყებს, მისი ვინაობა ფართო საზოგადოებისთვის საიდუმლოდ დარჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში - საჯაროდ დასახელდება.

**"ეს კანონპროექტი არავის დაპატიმრებას არ გულისხმობს და საბჭოთა წარსულთან მხოლოდ მორალურ, ზნეობრივ დამოკიდებულებას შეეხება,"** - აზუსტებს ფრაქციის თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი.

საინტერესოა, რომ "დემფრონტს" თავის რიგებში ისეთი დეპუტატიც ჰყავს, ვინც ძალიან ახლოს იცნობს აგენტურის სფეროს - ლაშა ნაცვლიშვილი გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

**"თუ მისი კარიერა საბჭოთა პერიოდში დაიწყო, ცხადია, კანონი მასაც შეეხება. ისე, იგი აგენტი არ ყოფილა და, ამდენად, მისი ყოფილი სამსახური ჩვენს ურთიერთობებსა და ჩვენს ფრაქციაში მის ყოფნას ხელს ვერ შეუშლის,"** - დასძენს ზურაბიშვილი.

კანონპროექტის ავტორებს ესმით, რომ იმ პირობებში, როდესაც "კაგებეს" არქივების უდიდესი ნაწილი რუსეთშია გატანილი, მათ მიერ ინიცირებული კანონი სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ვერ იქნება. არადა, საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელთა საინფორმაციო ბაზა რომ არასრულია, თუნდაც ერთი ფაქტი ადასტურებს: "გრუ"-ს აგენტურის შესახებ მონაცემები საქართველოში არქივის დონეზეც კი არ არსებობდა.

**"მართალია, არქივები გატანილია, მაგრამ ინფორმაციის გარკვეული რაოდენობის მოპოვება მაინც შეიძლება. ამასთან, სახელმწიფო კომისიას ინფორმაციის მიღების სხვა გზებიც ექნება,"** - იმედს არ კარგავს დავით ზურაბიშვილი.

ოპოზიციური ფრაქციის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს არასამთავრობო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ. თუმცა, გარკვეული შენიშვნებიც გააჩნიათ. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო კომისიის შექმნის წესს დახვეწა სჭირდება, რათა ეს სტრუქტურა პოლიტიკურად მართული არ გახდეს და გარკვეული ძალების შეკვეთების შემსრულებლად არ იქცეს. გარდა ამისა, ანა დოლიძე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ იმ თანამდებობრივ ჩამონათვალში, რომელთა დაკავებაც ყოფილ აგენტებს აეკრძალებათ, უნივერსიტეტის რექტორის პოსტიც შევიდეს.

ჯერჯერობით, ძნელია თქმა, რა ბედი ელის "დემოკრატიული ფრონტის" საკანონმდებლო ინიციატივას. ეს მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც მის მიმართ საპარლამენტო უმრავლესობა თავის დამოკიდებულებას ჩამოაყალიბებს. ოპოზიციონერი დეპუტატების თქმით, ამ ეტაპზე შანსი 50/50-ზეა - სახელისუფლებო ფრაქციის ნაწილი მხარს უჭერს ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებას, ნაწილი კი წინააღმდეგია.

# საქართველო დსთ-ს სივრცეს არ ტოვებს

ნათია მსხილაძე

*საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რიგებს არ დატოვებს. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე მიიღეს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა აღნიშნულ საკითხს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს.*

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან ჭოლაძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობა დსთ-ს სივრციდან გამოსვლას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ჭოლაძის თქმით, აღნიშნული საკითხი სახელმწიფო სტრუქტურებში თვენახევრის განმავლობაში განიხილებოდა, ხოლო მთავრობის სხდომაზე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება.

**"საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" ინიციატივით მომზადებული პროექტი, რომელიც დსთ-ს სივრციდან საქართველოს გამოსვლას ითვალისწინებს, სხვადასხვა ინსტანციაში განიხილებოდა. აღნიშნული საკითხი დღეს მთავრობის სხდომაზეც დააყენეს. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეკონომიკური, სოციალური და, განსაკუთრებით კი, პოლიტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, საქართველომ დსთ-ს სივრცე არ უნდა დატოვოს,"** – განაცხადა ლევან ჭოლაძემ.

# ირანმა საქართველოს ბუნებრივი აირის მიწოდებაში დახმარება აღუთქვა

ირანმა საქართველოს ბუნებრივი აირის მიწოდებაში დახმარება აღუთქვა. ამასთან დაკავშირებით შედგა საგარეო საქმეთა მინისტრისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის სატელეფონო საუბარი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ინიციატივით შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილთან. ირანის მინისტრმა მოთაქი მანუჩერმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში შექმნილი ენერგოდეფიციტის გამო და ქართულ მხარეს შესთავაზა გაზის მიწოდება კრიზისის აღმოფხვრამდე. ამჟამად ქართველი ენერგეტიკოსები, ირანელ კოლეგებთან ერთად, ირანული გაზით საქართველოს მომარაგების საკითხზე მუშაობენ.

*ინტერპრესნიუსი*

# შენობები - კერძო სკოლების პრობლემა

*"საქართველოში აღსდგა კონსტიტუციური სამართლიანობა" - ასე შეაფასეს კერძო სკოლების დირექტორებმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება – "ყველა მოსწავლე საქართველოში ვაუჩერით დაფინანსდება." საქართველოში სულ 400-მდე კერძო სკოლა არსებობს. უმრავლესობას არ გააჩნდა სწავლების ლიცენზია და ახლა ასეთი სკოლების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას გენერალური პროკურატურა იძიებს.*

ნინო ბერელიძე

ვაუჩერული სისტემით კერძო სკოლის მოსწავლეთა დაფინანსებამ მდგომარეობა, გარკვეულწილად, დაარეგულირა და დანარჩენი სკოლების საქმიანობა მოაწესრიგა. ვაუჩერი განსაკუთრებით მომგებიანი (330-396 ლარი) რეგიონების კერძო სკოლებისთვის აღმოჩნდა, რომლებიც დახურვის პირას იყვნენ მისული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასეთი მიდგომა, ძირითადად, განპირობებული იყო ყველა მოსწავლის ერთ პირობებში ჩაყენების მიზნით და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით, რომელიც კერძო და სახელმწიფო სექტორის გაძლიერებით მიიღწევა. 220-ლარიანი ვაუჩერი თბილისის ყველა კერძო სკოლამ მიიღო, მაგრამ გარკვეული პრობლემები შეექმნა რამდენიმე კერძო სასწავლებელს, მათ შორის, სკოლა-პანსიონ "მთიებს" და სკოლა-ლიცეუმს "მწიგნობართუხუცესს". პრობლემაზე სკოლის დირექტორებმა დავით კახნიაშვილმა და ნინო ჩიკვაიძემ ისაუბრეს. მათი განმარტებით, სკოლების ვაუჩერით დაფინანსება ქალაქის განათლების სამსახურში შეფერხდა. მინისტრის უშუალო ჩარევით კი, უახლოეს მომავალში ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყოფა გახარჯული თანხები. მსგავსი გაუგებრობების აღმოსაფხვრელად სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ იანვრის თვიდან ვაუჩერით განსაზღვრული თანხები თითოეული სკოლის ბიუჯეტში პირდაპირ გადაირიცხება. დირექტორებმა, რომლებიც საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თანათავმჯდომარეებიც არიან, განათლების სამინისტროს ამ ინიციატივის მიმართ თავიანთი მადლიერება გამოხატეს. საგულისხმო ფაქტია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კერძო სკოლების ხელმძღვანელებს ვაუჩერის განკარგვის პირობებს არ უყენებს და არც პრიორიტეტებს უსაზღვრავს, მაგრამ მშობლისათვის მნიშვნელოვანია, კერძო სკოლის გადასახადს ვაუჩერით გათვალისწინებული თანხა გამოაკლდეს. სკოლა-ლიცეუმ "მწიგნობართუხუცესში" და სკოლა-პანსიონ "მთიებში" სწავლის წლიური საფასური მცირე სულაც არ არის და წელიწადში 500-დან 1000 ლარამდე მერყეობს. მადლიერების ფონზე, სკოლის მესვეურები სხვა პრობლემაზე ალაპარაკდნენ. კერძო სკოლების უმრავლესობა იჯარით აღებულ შენობებშია მოთავსებული. შენობები, ძირითადად, სახელმწიფო სკოლებს ეკუთვნის. განათლების კანონმდებლობით კი, აუცილებელი პირობაა, სახელმწიფო და კერძო სკოლის შენობები ერთმანეთს ტერიტორიულად გაემიჯნოს. მათი განმარტებით, ორწლიანი ვადა ძალზე მცირე დროა ახალი სკოლის აშენებისათვის, ტექნიკურად გამართვისათვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვისაც კი. სკოლების ხელმძღვანელებს ინტენსიური კონსულტაციები აქვთ განათლების სამინისტროსთან, რათა გაუგრძელდეთ სკოლების გამიჯვნის ვადები.

## მოკლედ

### რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზებს დროულად გაიყვანს

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი იური ბალუევსკი აცხადებს, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზები 2008 წლის ბოლოსთვის გაყვანილი იქნება. ბალუევსკი ამტკიცებს, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ნაწილების გაყვანა დადგენილ ვადებში მოხდება. მისივე თქმით, საქართველოში რუსეთის ბაზების საარსებო საშუალებების მხრივ ისევ პრობლემებია. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლება რუს სამხედროებზე ვიზების გაცემას ხელს უშლის. **მედიანიუსი**

### ნინო ბურჯანაძე ბრიუსელში გაემგზავრა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ბრიუსელში გაემგზავრა. პარლამენტის თავმჯდომარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტია.

სხდომაზე ეუთოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგისა და ეფექტურობის გაძლიერებაზე იმსჯელებენ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და დელეგაციის წევრები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ეუთოს მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგის ეფექტურობის საკითხს დააყენებენ.

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეუთოს გააქტიურება აუცილებელია.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის მუშაობის ფარგლებში საქართველოს დელეგაცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში შექმნილი, აფხაზეთის საკითხთა შემსწავლელი მუდმივმოქმედი ჯგუფების საქმიანობის პროცედურის გადახედვასაც მოითხოვს და ეუთოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის საკითხს დააყენებს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბელგიის წარმომადგენლობითი პალატის პრეზიდენტს, ბიზნესწრეებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე თბილისში 29 იანვარს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

### საგარეო უწყება სერგეი ბაგაფშის წერილს გამოეხმაურა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქართული მხარის გაკვირვებას იწვევს ის, რომ აფხაზური მხარე მზადაა, აწარმოოს "ცივილიზებული" მოლაპარაკებები სხვადასხვა საკითხზე, გარდა ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სტატუსისა. როგორც ცნობილია, 20 იანვარს აფხაზი სეპარატისტების ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა წერილით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელშიც აფხაზეთისთვის ბოსნია-ჰერცოგოვინას, სერბიის ან კოსოვოს მსგავსი სტატუსის მინიჭებას მოითხოვს. "წარმოუდგენელია, ვილაპარაკოთ კონფლიქტის სრულმასშტაბიან და საბოლოო მოგვარებაზე, თუ არ შევეხებით ამ რეგიონის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

თავის წერილში ბაგაფში გამოთქვამს მზადყოფნას, პატივი სცეს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს და გალის რაიონში მშობლიურ ქართულ ენაზე ადგილობრივი მოსახლეობის სწავლება უზრუნველყოს. "აფხაზური მხარის მიერ ადამიანის უფლებების ვითომდა პატივისცემა და დაცვა მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და მკვეთრად განსხვავდება აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რეალობისაგან," - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 23 იანვარს გაავრცელა განცხადება, რომელშიც რუსეთის მხარე რეალისტურად მიიჩნევს აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის მიდგომებს კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივებთან დაკავშირებით და მხარს უჭერს მის "კონსტრუქციულ ხასიათს." **მედიანიუსი**

### თბილისის მოსახლეობის 60 პროცენტი ბუნებრივი აირის გარეშე რჩება

თბილისის მოსახლეობის 60 პროცენტი კვლავ ბუნებრივი აირის გარეშე რჩება - აზერბაიჯანიდან ყოველდღიურად შემომავალი 2 მილიონი კუბური მეტრი გაზი, პრაქტიკულად, მთლიანად "თბილსრესის" აგრეგატების მუშაობას ხმარდება. ამიტომ, გაზთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, თბილისი მთლიანად და შეუზღუდავადაა უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით. აღდგენილია დედაქალაქის გარეგანათებაც, რომელიც ორი დღის მანძილზე, ეკონომიის მიზნით, თითქმის მთლიანად გამორთული იყო. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ მათთვის უცნობია რუსეთიდან გაზმომარაგების აღდგენის ზუსტი ვადები. ენერგეტიკის მინისტრის, ნიკა გილაურის განცხადებით, "გაზპრომი" არანაირ კონკრეტულ ინფორმაციას არ ავრცელებს გაზსადენზე მიმდინარე აღდგენით სამუშაოებთან და მათი დასრულების სავარაუდო ვადებთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ახლებური ვითარება სამხრეთ ოსეთში და ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში

## ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ჰეიკი ტალვიტი საქართველოს ემშვიდობება

ნიკა თარაშვილი

*ჰეიკი ტალვიტის ამჟამინდელი ვიზიტი, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რანგში, უკანასკნელი გამოდგა. დაახლოებით, 2,5 წლის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობაზე მომუშავე ფინელი დიპლომატის თქმით, მისი ბოლო ოფიციალური ვიზიტის მიზანი იყო, გაერკვია, კონკრეტულად რა როლის შესრულება შეუძლია ევროკავშირს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში. "ხალხს ეშინია ცვლილებების..."; "რისკი აუცილებელია..." "გარეშე მხარეებს მხოლოდ მხარდაჭერა შეუძლიათ - პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეთანხმების მიღწევაში მდგომარეობს", - ასეთი პათოსით დაემშვიდობა ტალვიტი ქართველ ჟურნალისტებს და, ისიც გაუმხილა, რომ მის ნაცვლად აუცილებლად მაღალი რანგის დიპლომატი ჩამოვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რეგიონის მნიშვნელობის ზრდას ევროკავშირისთვის.*



*ჰეიკი ტალვიტი: გარეშე მხარეებს მხოლოდ მხარდაჭერა შეუძლიათ - პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეთანხმების მიღწევაში მდგომარეობს.*

23-25 იანვარს ჰეიკი ტალვიტი სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის რანგში უკანასკნელად ეწვია საქართველოს. მისი თქმით, ძირითადად იმისთვის, რომ გაერკვია, კონკრეტულად რა როლის შესრულება შეუძლია ევროკავშირს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში. შეხვედრებიც სწორედ ამ მიზნის შესაბამისად იყო დაგეგმილი. ტალვიტი შეხვდა სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ლიდერს ედუარდ კოკოითს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებს.

ევროკავშირის წარმომადგენელი ცხინვალში უკვე დიდი ხანია, აღარ ჩასულა. ამასობაში კი, ტალვიტის თქმით, ვითარება შეიცვალა: არსებობს საქართველოს მხარის მიერ შემუშავებული კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმა და, აგრეთვე დადებითი რეაქცია მოსკოვის მხრიდან სამეტაპიანი სამშვიდობო გეგმის განხორციელებაზე. გარდა ამისა, ოპტიმიზმს ზრდის ის ფაქტიც, რომ სამხრეთ ოსეთის ლიდერების მხრიდანაც იყო ახლახან შეთავაზება, რომელიც დიდად არ განსხვავდება საქართველოს მიერ შემუშავებული გეგმისგან.

ყველა ამ საკითხის გათვალისწინებით, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი იყო, გაერკვია, თუ რით შეძლებდა კონკრეტულად დახმარებას.

როგორც ბატონმა ელჩმა აღნიშნა, ცხინვალში ყოფნისას ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ აუცილებელია ჩატარდეს შეხვედრა კოკოითსა და ნოღაიდელს შორის. ამ მიზნით ევროკავშირი მხარს უჭერს იდეას, ჩამოყალიბდეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ქართული და ოსური სამშვიდობო გეგმების შეჯერებაზე იმუშავებს. "თუ ყველაფერი ნორმალურად განვითარდა, საორგანიზაციო კომიტეტი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში შეიკრიბება," - ამბობს ტალვიტი. ჯერჯერობით გარკვეული სირთულეები არსებობს შეხვედრის ჩატარების ადგილთან დაკავშირებით. ოსურ მხარეს არ სურს თბილისში ჩამოსვლა. "მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, გამოსავალი მალე გამოიძებნება," – დასძენს ევროკავშირის წარმომადგენელი.

შეგახსენებთ, ევროკავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა თავისი მხარდაჭერა საქართველოს მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის ძირითადი პრინციპებისადმი. ევროპა დაინტერესებულია, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანი გზებით იქნეს მოგვარებული, - ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს არაერთხელ აღნიშნეს ბრიუსელში.

**"პრობლემა, რომელიც არსებობს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით, არის ის, რომ მათ ეძახიან "გაყინულ კონფლიქტებს". ეს ზოგჯერ ნიშნავს, რომ ხალხს ეშინია ცვლილებების, რომელიც მოჩვენებით სტაბილურობას დაარღვევს. ამიტომაც საჭიროა, იყოს გარკვეული ოპტიმიზმი, გარკვეული არგუმენტაცია, რათა ხალხი მიხვდეს ამ ახალ შესაძლებლობებს. ვფიქრობ, საჭიროა გარკვეულ რისკებზეც წასვლა, რათა გადაიჭრას პრობლემები. ეს კი ცალკეულ პოლიტიკოსთა რისკებია,"** – ამბობს ტალვიტი.

მისივე თქმით, როცა არსებობს ახლებური სიტუაცია, ისეთი, როგორიც დღეს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, პოლიტიკოსი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს მის გამოყენებას. ამ პროცესში ევროკავშირის თანამონაწილეობა კი ბრიუსელში უკვე მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი. თუმცა, ევროპელი დიპლომატი იქვე იმასაც უსვამს ხაზს, რომ აუცილებელია სიფრთხილე და ზომიერება.

**"თუ ძალიან ამბიციურები ვიქნებით, გადაწყვეტილებები ვერ შესრულდება,"** - განაცხადა ტალვიტიმ და დასძინა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ქართულ და ოსურ მხარეებზე, დანარჩენ მხარეებს კი მხოლოდ დამხმარეების ფუნქცია აკისრიათ.

რაც შეეხება რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის მოსალოდნელ გადაწყვეტილებას, ჰაიკი ტალვიტიმ აღნიშნა, რომ მთავარია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და ამის შემდეგ რას მოიმოქმედებს მთავრობა. **"ეს ნორმალური პროცესია და არ უნდა შევხედოთ ამას, როგორც ულტიმატუმს,"** - აღნიშნა მან.

ჰეიკი ტალვიტიმ გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ზოგადად საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარებაზეც ისაუბრა. **"ზოგჯერ ქართულ მხარეს გადაჭარბებული მოლოდინები აქვს, ხოლო ევროკავშირი ვერ ახერხებს, განახორციელოს ყველაფერი ისე, როგორც საქართველოს სურს. მაგრამ ეს რეალური ცხოვრებაა, ამას ვერ გავექცევით. მომავალში თუ გვსურს, მართლაც განვახორციელოთ ჩვენი ერთობლივი გეგმები, ერთად უნდა ვიმუშაოთ და მაშინ აუცილებლად მივაღწევთ მიზანს,"** – ამბობს ევროპელი დიპლომატი.

ჰაიკი ტალვიტი ორწელიწადნახევარი ასრულებდა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ფუნქციას სამხრეთ კავკასიაში. მისი თქმით, ის აპირებს, პენსიაზე გავიდეს. მისი შემცვლელის ვინაობა მომავალ კვირას გაირკვევა. დღეისათვის ამ პოსტზე 5 მაღალი რანგის დიპლომატის კანდიდატურა განიხილება.

# როდის განახლდება გაზის მოწოდება?

პირველი გვერდიდან

ენერგეტიკის მინისტრმა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. როგორც მინისტრმა განმარტა, შეუძლებელია აზერბაიჯანიდან შემოსული ბუნებრივი აირი სომხეთს მიეღო, ვინაიდან შემოსული აირის მოცულობა იმდენად მცირეა, რომ სომხეთისათვის მისი მიწოდება შეუძლებელია.

მთავრობის სხდომის დასრულებიდან დაახლოებით ორ საათში, პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება ენერგეტიკის მინისტრის აზერბაიჯანში გამგზავრების შესახებ, რათა აზერბაიჯანში გაზის მოწოდების საკითხი დაზუსტდეს. პრეზიდენტის თქმით, მთავრობა ალტერნატიული წყაროების მოსაძიებლად კვლავ ყველა მიმართულებით მუშაობს. **"საქართველოს ბევრი მეგობარი ჰყავს. ჩვენ ბედის ანაბარა არ დავრჩებით,"** – თქვა სააკაშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, რუსეთის ტერიტორიაზე გაზსადენის აღდგენაზე სარემონტო სამუშაოები საეჭვოდ ჭიანურდება. პროცესის დასაჩქარებლად ქართულმა მხარემ ოფიციალურად შესთავაზა რუსეთს, დაეშვათ ქართველი სპეციალისტები. **"თუ რუსეთის კეთილი ნება იქნება, მილსადენის აღდგენა ერთ დღეში შეიძლება,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

# რუსი დეპუტატი გაზოპოლიტიკას უარყოფს

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის აზრით, მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი დივერსიების გამო შექმნილი ენერგოკრიზისი იმის მანიშნებელია, რომ საქართველომ ენერგეტიკული დამოუკიდებლობა უნდა გააძლიეროს. **"ეს პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტიების გაძლიერებაზე და გაზის მოწოდების ალტერნატიული გზების ძიებაზე, არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინისათვის, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობისათვის,"** - განაცხადა გუშინ კოტე გაბაშვილმა "რია ნოვოსტის" თბილისის ოფისში გამართული ვიდეოხიდის მსვლელობისას, რომელშიც რუსეთის მხრიდან მონაწილეობა გოსდუმის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი დრაგანოვმა მიიღო.

რუსეთის მიერ საქართველოსათვის გაზის ტარიფის გაძვირებაზე საუბრისას კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას, პრაქტიკულად, პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა, თუმცა ეს საქართველოსათვის ტრაგედია არ არის.

თავის მხრივ, ვალერი დრაგანოვმა განაცხადა, რომ რუსეთი მიესალმება საქართველოსათვის გაზის ალტერნატიული წყაროების გამოძებნას. თუმცა, მან უარყო მოსაზრება გაზზე ფასების ზრდის პოლიტიკური მოტივაციის შესახებ.

**"ჩემთვის გაუგებარია, ჩვენს ურთიერთობაში არსებული ცალკეული სამწუხარო ეპიზოდები სისტემურ პრობლემებად რატომ აღიქმება,"** - აღნიშნა დრაგანოვმა.

ვალერი დრაგანოვი ქართველ კოლეგებს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, რუსეთისა და საქართველოს მმართველი პარტიების საკონსულტაციო შეხვედრის გამართვას სთავაზობს.

დრაგანოვის თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგების პროცესს დააჩქარებდა, ასევე, რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ფორუმის დაფუძნება და შემდეგ ამ ფორუმის აქტიური თანამშრომლობა ქართველ და რუს პოლიტიკოსებთან.

გაბაშვილმა რუსი კოლეგის წინადადება მიიღო და, თავის მხრივ, უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ პარლამენტარების გააქტიურების წინადადებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს შარშან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მიმართა, მაგრამ რუსული მხარე ამ წინადადებას არ გამოხმაურებია.

უცხოეთი

# ირანი აფეთქებებში დიდ ბრიტანეთს ადანაშაულებს

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მომხდარ აფეთქებებში ირანი ბრალს ოფიციალურ ლონდონს სდებს. ქალაქ აჰვაზში აფეთქებების ხმა ბანკისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შენობებში გაისმა. მას 8 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 34-ზე მეტი ადამიანი სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით იქნა საავადმყოფოებში გადაყვანილი. აჰვაზი ნავთობით მდიდარი პროვინციის ჰუზესტანის ცენტრად ითვლება, სადაც დაახლოებით ორი მილიონი არაბი სახლობს.

ოფიციალური თეირანის ბრალდებას საპასუხო კრიტიკით მყისვე გამოეხმაურა გაერთიანებული სამეფოც. როგორც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ბრალდება ირანელების მხრიდან აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან თავად ოფიციალური ლონდონი გმობს ტერორიზმს.

აფეთქებებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ჯერ არც ერთ ორგანიზაციას ოფიციალურად არ აუღია, თუ არ ჩავთვლით სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც აფეთქებების ორგანიზატორად და შემსრულებლად საკუთარ თავს ნაკლებად ცნობილი დაჯგუფება "არაბული მოძრაობა აჰვაზის გათავისუფლებისათვის" აცხადებს. თუმცა, როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოთაყი აცხადებს, სამართალდამცველებმა მოიპოვეს ფოტოდოკუმენტი, სადაც ძირითადი ეჭვმიტანილი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად არის აღბეჭდილი.

"აჰვაზში განხორციელებული მკვლელობები იმ ხალხის ნახელავია, რომლებმაც ამაყად გადაიღეს ფოტო ბრიტანელ ჩინოვნიკებთან. ეს ხალხი დიდი ბრიტანეთის არმიის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობს და მათ შეიარაღებას იყენებს, სხვათა შორის, ბასრაშიც," - განაცხადა ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

*ბი-ბი-სი*

# რუსეთის სათათბიროს მიმართვა ევროპის ქვეყნების პარლამენტებისადმი

რუსეთის სათათბირო ევროპის ქვეყნების პარლამენტს მოუწოდებს, დაგმოს სპეცსამსახურების მიერ არაკომერციული ორგანიზაციის დაფინანსების პრაქტიკა. დეპუტატები თვლიან, რომ ამგვარი ქმედებები ნდობას უკარგავენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ ინსტიტუტს. სახელმწიფო სათათბირომ ეს დადგენილება მოსკოვში ბრიტანელ დიპლომატთა სადაზვერვო საქმიანობის ირგვლივ აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით მიიღო. კერძოდ, უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ჯაშუშობაში დაადანაშაულა დიდი ბრიტანეთის მეორე მდივანი მარკ დოუ, რომელიც, რუსეთის სპეცსამსახურების მტკიცებით, ხელს აწერდა დოკუმენტს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა“ დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის“.

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის“ უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

8-10

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# პალესტინაში საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები ჩატარდა

პალესტინის ავტონომიაში ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველი საპარლამენტო არჩევნები ტარდება. მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ღაზას სექტორსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში, დაახლოებით ათასი საარჩევნო უბანია გახსნილი. პალესტინელებმა საკანონმდებლო კრების 132 დეპუტატი უნდა აირჩიონ.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, მმართველ "ფათჰის" პარტიას და ექსტრემისტულ დაჯგუფებას "ჰამასს" გამარჯვების თანაბარი შანსები აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა არჩევნებში კანდიდატურები პირველად წარადგინა. ისრაელი აცხადებს, რომ "ჰამასის" გამარჯვების შემთხვევაში, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული, მასთან მოლაპარაკებებს არ გამართავს და შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესი ჩაიშალოს. საინტერესოა ისიც, რომ ბოლო პერიოდში "ჰამას"-ის წარმომადგენლებმა პალესტინის ხელისუფლების მწვავე კრიტიკას თავი დაანებეს, რაც მათი მხრიდან ერთგვარად სერიოზული პოლიტიკური ძალის რეპუტაციის მოპოვების მცდელობაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ უარი თქვეს შეიარაღებულ ბრძოლაზეც.

თუმცა, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი აცხადებენ, "ფათჰ"-ის მიმართ ნდობამ მკვეთრად იკლო, რასაც ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლობა და არაკომპეტენტურობისა და კორუფციის გამო პალესტინის ეკონომიკის ჩავარდნა განაპირობებს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პალესტინაში მოქმედმა მრავალმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, არჩევნების ჩატარების მიზნით, ძალისმიერ ქმედებებზე უარი მხოლოდ არჩევნების დღეს თქვეს.

**"იმედი მაქვს, არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდება და ასევე საყოველთაო პატივისცემასა და ნდობას დაიმსახურებს გამოქვეყნებული შედეგებიც,"** - აცხადებდა პალესტინის ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი ჯერ კიდევ არჩევნების წინა დღეს.

პალესტინის საპარლამენტო არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარების მიზნით, ისრაელიც წავიდა გარკვეულ დათმობებზე. ოფიციალური თელ-ავივი დათანხმდა პალესტინის ადმინისტრაციას, არჩევნების დღის ამოწურვამდე შეემცირებინა საკუთარი შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.

არჩევნების შედეგები, სავარაუდოდ, 29 იანვარს გამოქვეყნდება.

*24 საათი*

# პენტაგონის დაკვეთით მომზადებული ანგარიში

სამხედრო სამსახურში შესვლის და კონტრაქტის განახლების მსურველთა რიცხვის "კატასტროფული შემცირების" გამო, აშშ-ს არმია ღრმა კრიზისის პირასაა მისული, თუმცა ის მაღალეფექტურ სტრუქტურად რჩება.

ამის შესახებ ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც ვაშინგტონის სტრატეგიული და საბიუჯეტო შეფასებების ცენტრის დირექტორმა, თადარიგის პოლკოვნიკმა ენდრიუ კრეპინევიჩმა პენტაგონის დაკვეთით მოამზადა, - იუწყება სააგენტო "ესოშიეითიდ პრესი". კრეპინევიჩის აზრით, ამგვარი ეფექტი ერაყში და ავღანეთში გაჭიანურებული საომარი კამპანიებით არის გამოწვეული. მოხსენების ავტორი აღნიშნავს, რომ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს სულ უფრო უჭირს ამ რეგიონებში ჯარების აუცილებელი როტაციის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, კრეპინევიჩს მიაჩნია, რომ აშშ ერაყში სამხედრო კონტინგენტს იმდენ ხანს ვერ დატოვებს, რამდენიც "აჯანყებულთა დაშოშმინებისთვისაა" საჭირო. აქედან გამომდინარე, 136-გვერდიანი მოხსენების ავტორი პენტაგონს ურჩევს, წლის ბოლოსთვის ერაყში 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი არ დატოვოს. ამჟამად ამ ქვეყანაში 136 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა დისლოცირებული. გავრცელებული ინფორმაციით, 1999 წლიდან პირველად, 2005 წელს პენტაგონმა შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების გეგმა ვერ შეასრულა. ახალწვეულთა საგრძნობ ნაკლებობას განიცდის ეროვნული გვარდია და რეზერვიც.

მოკლედ

# დაპატიმრებულია სასწრაფოს ექიმი

გურჯაანის პროკურატურამ რაიონის სასწრაფო სამედიცინო განყოფილების ექიმი ვალერი ნიკოლაძე დააკავა. როგორც პროკურორის მოადგილემ ზურაბ ბიკაშვილმა განაცხადა, ნიკოლაძის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 130 მუხლის II პუნქტით აღიძრა, რაც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **"მას ბრალი ედება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის ნოდარ კაციაშვილისთვის, არასაპატიო მიზეზით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობაში, რის შედეგად კაციაშვილი გარდაიცვალა,"** - ამბობს პროკურორის მოადგილე.

სასწრაფოს ექიმს რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება უკვე შეუფარდა.

*24 საათი*

# დააკავეს კრიმინალური დაჯგუფების წევრები

გორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა, ყაჩაღურ თავდასხმებში არაერთგზის მონაწილეობის ბრალდებით, კრიმინალური დაჯგუფების ორი წევრი დააკავეს.

დაკავებულები არიან გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრები გენადი გენგიური და გორის რაიონის სოფელ ქვეშში მცხოვრები, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, ბესიკ ელიზბარაშვილი. ელიზბარაშვილიც და გენგიურიც სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის რამდენჯერმე იხდიდნენ სასჯელს. ელიზბარაშვილი ბოლოს პოლიციელის მკვლელობისთვის გაასამართლეს.

სამართალდამცველების განცხადებით, დაკავებულები, თანამზრახველებთან ერთად, ძირითადად სატვირთო ავტომანქანებს იტაცებდნენ. ავტომანქანები მათ სოფელ მეჯვრისხევის გავლით ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ გადაჰყავდათ.

დაკავებულები გორის პოლიციის წინასწარი გამოძიების იზოლატორებში არიან მოთავსებულები.

*ინტერპრესნიუსი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** შს სამინისტროს მოქალაქე გრიგოლ დვალიშვილმა განაცხადა, რომ ბათუმში, ერას ქუჩაზე მდებარე "კოდაკის" ფირმის სალონში, ვინმე "სულხანი" გარკვეული თანხის საფასურად კომპიუტერზე აწარმოებდა ყალბი მართვის მოწმობის დამზადებას. 24 იანვარს გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ერას ქუჩაზე მდებარე ფირმა "კოდაკის" ფოტოლაბორატორიაში დააკავეს ყალბი მართვის მოწმობის დამზადება-გასაღებაში ეჭვმიტანილი ძმები, მინდია და სულხან ზოიძეები. მიმდინარეობს გამოძიება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის ფინანსურმა პოლიციამ ზესტაფონის ერთ-ერთი ბაზრობის, შპს "ტექყოფსერვისის" მთავარი ბუღალტერი ნაილი კირკიტაძე დააკავა. მას, ჯგუფთან ერთად, 27 ათასი ლარის მითვისება ედება ბრალად. როგორც იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსმა ლევან კიკნაველიძემ განაცხადა, ნაილი კირკიტაძე შპს "ტექყოფსერვისის" დირექტორთან დავით კირკიტაძესთან და გადასახადების ამკრეფთან გია კობახიძესთან ერთად, ეჭვმიტანილია დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში. ლევან კიკნაველიძის განმარტებით, მეწარმეებმა ორი წლის განმავლობაში სახელმწიფოს დიდი ოდენობის გადასახადი დაუმალეს. ნაილი კირკიტაძე წინასწარ პატიმრობაში რჩება, დავით კირკიტაძესა და გელა კობახიძეზე ძებნაა გამოცხადებული.

*ინტერპრესნიუსი*


## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრების საყურადღებოდ!

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაცნობებთ, რომ ასოციაციის 2005 წლის 30 ოქტომბრის XII საერთო კრების და 2006 წლის N1 გამგეობის სხდომის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ასოციაციის წევრებს საწევრო დავალინების დაფარვის საშუალება გააჩნიათ**

2006 წლის 31 იანვრის 18.00 საათამდე

საწევრო დავალიანების დაფარვა უნდა მოხდეს **პირადად,** ან **წერილობითი თანხმობის** თანხლებით.

საწევრო დავალიანების დაფარვა ხდება ასოციაციის თბილისის ოფისში, მისამართზე კრილოვის ქ.N15

**შეკითხვებისთვის დარეკეთ: 93 61 01 / 95 23 53**

United Nations Development Programme
UNDP Georgia

## გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს ტენდერს

**გაეროსა და საქართველოს მთავრობის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტების აუდიტის ჩასატარებლად**

სატენდერო წინადადება და სამუშაოს აღწერილობა შეგიძლიათ მიიღოთ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში (მისამართი: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: 25-11-26/28/29/31) სამუშაო საათებში 9:30-18:00 ან გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 17 თებერვალი 18:00 საათი.


# მოპარული ტელეფონი გამოუსადეგარი გახდება

*შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის პირადი ინიციატივით, ჯიბის ქურდების სამოქმედო ასპარეზი ვიწროვდება. მობილური ტელეფონების ქურდობა მოგებიანი აღარ იქნება. შს მინისტრის ინფორმაციით, მოპარული მობილური ტელეფონი ქსელიდან გაითიშება და ის გამოუსადეგარი გახდება.*



ვანო მერაბიშვილი ამაყობს საკუთარი იდეით.

**"ამით აღიკვეთება მობილურ ტელეფონებთან დაკავშირებული შავი ბიზნესი,"** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. ის მოქალაქეები, რომლებიც მოპარული ტელეფონებით სარგებლობენ, ჯერ მიიღებენ გამაფრთხილებელ შეტყობინებას ქსელიდან გათიშვის შესახებ, შემდეგ კი ტელეფონი გაეთიშებათ. მოპარული მობილური ტელეფონების ქსელში ჩართვა შეუძლებელი გახდება.

შს მინისტრის ინიციატივა, კიდევ ერთ ბიზნესს, სალომბარდო ბიზნესს "ურტყამს". მინისტრის ინფორმაციით, მოპარული მობილური ტელეფონების ვაჭრობით თბილისში 200-ზე მეტი ლომბარდია დაკავებული. მერაბიშვილმა დედაქალაქში მოპარული ტელეფონებით მოვაჭრე ორასამდე ლომბარდის მეპატრონეს მოუწოდა, ხელი აიღონ ამ ბიზნესზე, მოქალაქეებს კი ურჩია, ტელეფონების დაკარგვის შემთხვევაში პოლიციას აუცილებლად მიმართონ.

**"მოგიწოდებთ, არ შეიძინოთ მოპარული, უდოკუმენტაციო ტელეფონი, რადგან ადრე თუ გვიან, ეს ტელეფონები ქსელიდან გაითიშება და თქვენ მიერ გადახდილი ფული ტყუილად დაიკარგება,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. მისივე განმარტებით, მოპარული ტელეფონების ბიზნესის აღმოფხვრის ახალი სისტემა შს სამინისტრომ საქართველოში მოქმედ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებთან ერთად შეიმუშავა. მოპარული მობილური ტელეფონი, პოლიციაში განცხადების შესვლიდან სამ წუთში, ქსელიდან გაითიშება, ამისთვის შსს-მ შეიძინა სპეციალური აპარატურა.

**"ძარცვა-ყაჩაღობის მთავარი საფუძველი ნარკომანიაა. მობილური ტელეფონების ყაჩაღობის 80 პროცენტი ნარკომანების მიერ ხდება. სწორედ ამიტომაც, "ჯეოსელთან" და "მაგთისთან" მიმდინარეობდა მოლაპარაკება და ამუშავდება მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, მოპარული ტელეფონი, რომლის შესახებაც პოლიცია ინფორმაციას მიიღებს, სამ წუთში ქსელიდან გაითიშება, მისი სისტემური ბლოკირება მოხდება, ის ფუნქციას დაკარგავს, ანუ ტელეფონი გამოუსადეგარი გახდება. ამ მექანიზმის ამუშავება ჩემი იდეაა და ძალზე ვამაყობ, რადგან ეს "ბიზნესი" - მობილური ტელეფონების ყაჩაღობა - ფაქტობრივად, მოკვდება,"** – ზუსტად ორი თვის წინ "24 საათთან" საუბრისას ასეთი განცხადება გააკეთა შს მინისტრმა.

ეს სისტემა უკვე ამუშავდა. გუშინ ქსელიდან გამოირთო 1000-მდე მოპარული ტელეფონი, რომელთა პატრონებსაც ტელეფონის დაკარგვის შესახებ შსს-ს განყოფილებებში განცხადება ჰქონდათ დაწერილი.

*24 საათი*

# ნარკორეალიზატორი დაკავებულია

## ჟურნალისტს კი კვლავ ემუქრებიან

სიღნაღის პროკურატურამ ნარკორეალიზების ბრალდებით ამავე რაიონის სოფელ მაშრანის მკვიდრი ეთერ ყორღანაშვილი დააკავა. შეგახსენებთ, რომ დანაშაულში მხილებული ქალბატონი სწორედ ის არის, რომელმაც მისი მეუღლის, ონკოლოგიური ავადმყოფობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა ყალბად გააკეთა და შემდეგ ნარკოტიკულ პრეპარატს "მორფიუმს" სიღნაღის მთავარ გინეკოლოგს თამილა კეხეთელიძეს 5 ლარად აბარებდა. აღნიშნულის შესახებ პირველი ინფორმაცია "24 საათმა" და კახეთის რეგიონულმა გაზეთმა "სპექტრმა" გავრცელეს, რასაც მთავარი გინეკოლოგის ოჯახის წევრების მხრიდან სტატიის ავტორზე სიტყვიერი შეურაცხყოფა და ლიკვიდაციის მუქარა მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეთერ ყორღანაშვილმა დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით სამართალდამცველებს ჩვენება რამდენიმე კვირის წინ მისცა, პროკურატურამ მისი დაკავება "24საათსა" და "სპექტრში" გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ მოახერხა.

"24საათი" ერთი კვირის წინ პოლიციის ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, რომ ეთერ ყორღანაშვილის მეუღლის, რევაზ ყორღანაშვილის სახელზე შედგენილი სამედიცინო ცნობა ყალბი აღმოჩნდა. არადა, ამ ცნობის მიხედვით, ე.წ. ონკოლოგიური ავადმყოფის სახელზე რაიონული პოლიკლინიკა ნარკოტიკულ პრეპარატ "მორფიუმს" გასცემდა.

ყორღანაშვილების დიასახლისი კი, როგორც იგი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში წერდა, გაჭირვების გამო პრეპარატს სიღნაღის მთავარ გინეკოლოგს, თამილა კახეთელიძეს აბარებდა. სწორედ ამ ინფორმაციის გახმაურების გამო თამილა კახეთელიძის ოჯახის წევრები სტატიის ავტორს, ზვიად რუაძეს დაუკავშირდნენ და ფიზიკური ლიკვიდაციითაც დაემუქრნენ.

სამართალდამცავებმა კი ეთერ ყორღანაშვილი ნარკოტიკების ბრალდებით დააკავეს და მის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლის I ნაწლით აღიძრა. რაიონული სასამართლო მას წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებას დღეს შეუფარდებს.

როგორც სიღნაღის რაიონულ პროკურატურაში აცხადებენ, საქმე ერთ კონკრეტულ დანაშაულთნ კი არა, კრიმინალურ დაჯგუფებასთან აქვთ, თუმცა გამოძიების ინტერესდებიდან გამომდინარე, პროკურორი დავით კოჭლამაზაშვილი კომენატრისგან თავს იკავებს. პოლიციაში კი აცხადებენ, რომ მალე პასუხისგებაში სიღნაღის მთავარი გინეკოლოგი თამილა კახეთელიძეც მიეცემა, თუმცა იგი ამ დროისთვის დაკავებული არ არის.

*24 საათი*

# ადამიანის უფლებების ყოფილი დამცველი ყოფილი კოლეგების წინააღმდეგ

*ომბუდსმენის ყოფილი მოადგილე ამჟამად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, გოგა ონიანი ომბუდსმენის წარმომადგენლების ციხეში არშეშვებას ამართლებს და აცხადებს, რომ ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლების სპეციალურ საშვებს, რომლითაც ისინი საპატიმროებში შედიოდნენ, ვადა გაუვიდა.*

სხვათა შორის, როდესაც გოგა ონიანი ომბუდსმენის მოდგილედ მუშაობდა, თავის მაშინდელ კოლეგებთან ერთად, იუსტიციის ყოფილ მინისტრს კოტე კემულარიას სწორედ ამ საკითხის გამო უყენებდა სერიოზულ ბრალდებებს. ადამიანის უფლებების დამცველები, მათ შორის გოგა ონიანიც, აცხადებდნენ, რომ საშვისთვის ვადის გასვლა კოტე კემულარიას მიერ საგანგებოდ გამოგონილი საბაბი იყო, რათა მათ არ ენახათ საპატიმროებში შექმნილი სიტუაცია.

ამჯერად, მსგავს ბრალდებებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მეგობარი აყენებს. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს კანონდარღვევაში ადანაშაულებს. საუბარია თბილისსა და ბათუმში მომხდარ ორ ფაქტზე.

პირველი შემთხვევა თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხდა, სადაც სამართალდამცველების მიერ დაკავებულ მარინე ჭეიშვილთან სახალხო დამცველის წარმომადგენლები და მისი ადვოკატი ზურაბ ჯორჯიაშვილი არ შეუშვეს. მარინე ჭეიშვილი მისი ვაჟის, ბაჩო სარიშვილის, მეტსახელად "პატარა ხისთავას", სასამართლო პროცესზე დააკავეს, რის შემდეგაც შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაიყვანეს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პატიმართან შეხვედრაზე დაცვის სამსახურის ცვლის უფროსისგან უარი იმ მოტივით მიიღეს, რომ მინისტრის ბრძანება სამინისტროში დასაშვებ პირთა შესახებ სახალხო დამცველის წარმომადგენელთა შეშვებას არ ითვალისწინებს.

მეორე შემთხვევა კი ბათუმის ციხეში მოხდა, სადაც სამართალდამცველებმა ჩხრეკა ჩაატარეს და სახალხო დამცველის წარმომადგენელი გიორგი ჩარკვიანი ციხეში არ შეუშვეს.

თეა თუთბერიძის თქმით, არსებობს ეჭვი, რომ, შესაძლოა, ციხეში პატიმრები იყვნენ დაშავებულნი და გიორგი ჩარკვიანისთვის უარის თქმის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

როგორც თეა თუთბერიძე აცხადებს, სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურები და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი სახალხო დამცველის აპარატის დისკრედიტაციას ახორციელებენ. ისინი ცდილობენ სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში ისეთივე ფორმალობა გახდეს, როგორც ეს სოზარ სუბარის წინამორბედების დროს იყო.

თეა თუთბერიძე შესაბამის უწყებებს იმ უფლებებს შეახსენებს, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი ანიჭებს. კანონის თანახმად, სახალხო დამცველის წარმომადგენელს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. ასევე მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისგან.

მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით თეა თუთბერიძე გენერალური პროკურატურის რეაგირებას ითხოვს.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

ანკეტა

სახელი, გვარი............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი............................................

საკონტაქტო ტელეფონი............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. [illegible]

[illegible]

# სახალხო ფორუმი

**ძვირფასო თბილისელებო!**

"სახალხო ფორუმის", პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით თბილისში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვების კამპანია თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების მოთხოვნით.

**მოგიწოდებთ!**

საკუთარი ხელმოწერებით გამოვხატოთ სურვილი და მზადყოფნა, პირდაპირი გზით ავირჩიოთ თბილისის მერი და თავადვე ვაგოთ პასუხი ჩვენს ქალაქზე!
დაინტერესებულ პირებს ხელმოწერებთან დაკავშირებით შეუძლიათ მოგვმართოთ შემდეგ ოფისებში:

**"სახალხო ფორუმი"** - ქ. თბილისი; ვირსალაძის ქ.N10;
**"რესპუბლიკური პარტია"** -ქ. თბილისი; ალ. ჭავჭავაძის ქ. N11;
**"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"** - ქ. თბილისი; მტკვრის მარცხენა სანაპირო N7;
**"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"** -ქ. თბილისი. რუსთაველის პროსპ. N 21
**"კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი"** - ქ. თბილისი; მიტროფანე ლაღიძის ქ. N3;
საზოგადოება **"სამგორი"** - მოსკოვის პროსპექტი; მარელისის ქ. N 2 "განთიადის კულტურის სახლი".

**თბილისელებს გვაქვს არჩევანის უფლება!**



გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (GIOC) პროექტი № 00012702 აცხადებს ტენდერს მცირე სარემონტო სამუშაოებზე

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო-სარემონტო კომპანიებს. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია 2006 წლის 3 თებერვლამდე.

საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებულ სამშენებლო კომპანიებთან შედგება 30 იანვარს 17 საათზე საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის (GIOC) საკონფერენციო დარბაზში.

საკონტაქტო პირი მიხეილ აბაშიძე.
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
საქართველო, თბილისი წინამძღვრიშვილის 90.
ტელ. (995 32) 244000, ფაქსი (995 32) 244002.
E-mail: mabashidze@gioc.ge


# უნივერსიტეტი, როგორც კულტურის „სექენდ ჰენდი"

*როდესაც გასული წლის მიღწევებზე ვფიქრობ, რუსეთის ბაზების გაყვანის შემდეგ უმალ ერთიანი ეროვნული გამოცდები მახსენდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენთანაც გაჩნდა იმედი, რომ ცოდნა დაფასდება და ნიჭიერი ბავშვები ამიერიდან უპროტექციოდ მოეწყობიან უმაღლეს სასწავლებლებში. კაცის ბუნება ასეთია - სულ მეტი და მეტი უნდა და ჩვენც წარმატებით ჩატარებული გამოცდების შემდეგ საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლები მოვიწადინეთ. ბუნებრივია, გაგვიჩნდა კითხვა: რატომ გავაწვალეთ ეს ბეჯითი ახალგაზრდები, თუ იმავე ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს დავახვედრებდით, სადაც სწორედ ანგარებით უნდა ჩააბარო?*

სოფიო თოდუა

უსინდისობა იქნება, უკლებლივ ყველა უმაღლეს სასწავლებელს ჩირქი მოვცხო და იქაურ პროფესურას შეურაცხყოფა მივაყენო. განათლების სამინისტროს, ალბათ, მყარი არგუმენტები გააჩნია, როცა პირველ ეტაპზე უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური აკრედიტაცია ჩაატარა და პროგრამულ აკრედიტაციას აწი აპირებს. ეს ნიშნავს, რომ ჯერ უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეამოწმეს და უკვე ამის შემდეგ დაინტერესდებიან, რას და როგორ ასწავლიან ამ კეთილმოწყობილ ინსტიტუტებში. ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა ჩვენი კორიფეების მოსასმენად გათოშილ აუდიტორიებში სტუდენტების ტევა არ იყო. დღეს ასეც ხდება: კათედრაზე, შესაძლოა, საშუალო დონის პედაგოგი იდგეს, კომფორტულ აუდიტორიებში კი ახალგაზრდებს დრო ერთმანეთთან "ჩატაობით" გაჰყავდეთ. მაღალი ტრიბუნიდან მოყოლებული, დიასახლისების სამზარეულოებით დამთავრებული, ყველგან ითქვა, რომ იმდენი უმაღლესი სასწავლებელი, რამდენიც მარტო თბილისშია თავმოყრილი, ჩვენზე ბევრად დიდ ქალაქებშიც არ არის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც რაოდენობრივ ცვლილებებს თვისობრივიც მოჰყვება - სამწუხაროდ, სწავლების დონის კატასტროფულად დაცემის თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, მშობლების უმრავლესობა ჯერ აბიტურიენტის მოსამზადებლად, მერე კი ფასიან სექტორზე სწავლისას ფულს იმაში იხდის, რომ ხუთი წლის თავზე ფარატინა ქაღალდით ხელდამშვენებულ შვილს სადმე დააწყებინოს სამსახური. ცხადია, დიპლომში ჩაწერილ პროფესიას არანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება.

უნივერსიტეტები კი, მოგეცა ლხენა, იმდენი გვაქვს, ტერიტორიული სიახლოვითაც შეგვიძლია ავირჩიოთ. ამჯერად კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტზე მოგახსენებთ, რომელსაც 2006 წლიდან სახელმწიფომ დაფინანსება შეუწყვიტა. არადა, ამას წინათ ერთი პოპულარული ადამიანი წუხდა: ეს რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, კულტურის ამ არაჩვეულებრივ კერას გაგანია სასწავლო პროცესში დაფინანსება შეუწყვიტესო. ერთი შეხედვით, სახელმწიფო თუ გქვია, იმდენი უნდა შეგეძლოს, სტუდენტებს სასწავლო წელი მაინც ჩაამთავრებინო. მაგრამ მე ის უფრო მაფიქრებს, საერთოდაც რატომ ფინანსდებოდა ისეთი უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებულები, საუკეთესო შემთხვევაში, "კულტმასოვიკები" გამოდიან? 30 წლის წინ მათი წინააღმდეგი ვერ ვიქნებოდი, მაგრამ ასე მგონია, არათუ დღეს, გაგანია საბჭოთა პერიოდშიც ამ "პროფესიის" დასაუფლებლად მაინცდამაინც უნივერსიტეტის დამთავრება არ იყო საჭირო. უცნაურია, მაგრამ პოსტსაბჭოთა საქართველოში იმის ნაცვლად, რომ ტექნიკუმები, სადაც კულტმუშაკებს ამზადებდნენ, გაეუქმებინათ, პირიქით, ძმა-ბიჭობის ხარჯზე ჯერ ინსტიტუტებად, მერე კი უნივერსიტეტებად გააიმასქნეს და დაბნეულ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარეს. კულტურის სამინისტროში, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფებოდა ადრე ეს უნივერსიტეტი, როგორც იქნა მიხვდნენ, რომ საქმე წმინდა წყლის სიმულაციასთან ჰქონდათ, მაგრამ დახურვისაგან თავი შეიკავეს და აქაურობა მერიის კულტურის სამსახურს უფეშქაშეს. რატომ და რისთვის აიღო თავის თავზე ქალაქმა ამ გაურკვეველი პროფილის "უმაღლესის" დაფინანსება, დაუდგენელია.

ზემოთ კი ვთქვი, გაურკვეველი პროფილის უნივერსიტეტიო, მაგრამ მისი მესვეურები თავს იმით იწონებენ, რომ ქართული ხალხური კულტურა სწორედ მათი გადასარჩენია. არადა, სინამდვილეში ისინი დღემდე საბჭოური კულტურის რეჟიმში მუშაობენ - ხალხური თვითმოქმედების კულტივირებას რომ მიმართავდა. ეს იყო არა ხალასი ფოლკლორი, არამედ რაღაც მეორადი ეთნოკულტურა, ასე ვთქვათ, კულტურის "სექენდ ჰენდი". საერთოდ, აქ ყველაფერს მეორადობის დამღა აკრავს: მეორადია ინსტიტუტის ფოიეს მოხატულობა თუ ქობულაძისეული ოპერის ფარდიდან გადმოხატული კუსტარული ასლი, რომ არაფერი ვთქვათ უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ გაუბედურებულ ტიციანსა თუ რენუარზე. სხვათა შორის, ეს "კოლექცია" შარშან სურათების ეროვნულ გალერეაშიც გამოფინეს და ყველას თავზარი დასცეს. რაც მართალია, მართალია, საბჭოური ხალხური თვითმოქმედების ტრადიციას ეს უნივერსიტეტი წარმატებით ართმევს თავს. არ გამიკვირდება, თუ აქაურ კონტინგენტს საბჭოთა ნოსტალგია მოეძალება და სანკულტურის თეატრს აალორძინებს. კარგსაც იზამენ, რადგან სანიტარული კულტურა, რის პროპაგანდასაც ეწეოდა გასული საუკუნის 20-იან წლებში ეს თეატრი, ფართო მასებში დღესაც დაბალია, მოახლოებული ფრინველის გრიპის ფონზე კი ასეთი დაუდევრობა დამღუპველია.

არადა, რა ამაყად ჟღერს - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი! კულტურა, მოგეხსენებათ, განსაკუთრებული ფენომენია. ამ სიტყვის იმდენი განმარტება არსებობს, ჩვენი გაზეთის ბარე რამდენიმე გვერდი ვერ დაიტევს. კულტურა რომ გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ხელოვნება, ეს ჩვენც ვიცით. ამას რომ გულისხმობდნენ და, შესაბამისად, სასწავლო პროგრამაც ამ პრინციპით იყოს შედგენილი, ხმას ვინ ოხერი ამოიღებდა. მაგრამ ეს ორი სათაური სხვა რამეს ემსახურება: აქ დარწმუნებულნი არიან, რაც უფრო დააბოლებენ საზოგადოებას (ჟარგონისთვის ბოდიშს ვიხდი), მით მეტი აბიტურიენტი მიაწყდებათ. ამიტომაც კულტურა და ხელოვნება ისევე დაწყვილდა ერთმანეთთან, როგორც, მაგალითად, აგრარული ბიოტექნოლოგიები და ბიზნესი, ან, სულაც, კლასიკური და ტრადიციული მედიცინა. ცნობისათვის, ასეთი ინსტიტუტებიც მოგვეპოვება. ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი უნივერსიტეტი კი, რომელიც დავით აღმაშენებლის გამზირზე მერიის კულტურის სამსახურის სიახლოვეს მდებარეობს, აბიტურიენტებს ფართო ასორტიმენტს სთავაზობს: ხელოვნებათმცოდნე ექსპერტი; ჟურნალისტი-ხელოვნებათმცოდნე; ესტრადის ვოკალისტი; ხელოვნების მენეჯერი; საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების, საბიბლიოთეკო, საარქივო და საინფორმაციო საქმის, ტურიზმის მართვისა და ადმინისტრირების, ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის, მხატვრული ქსოვის, საეკლესიო მხატვრობის, შოუსა და მოდის დიზაინის სპეციალისტები და ასე შემდეგ.

ისინი, ვისაც კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი არ დაუმთავრებიათ, ხვდებიან, ალბათ, სინამდვილეში რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ზოგიერთი ყურით მოთრეული საგანი სასწავლო პროგრამაში იმიტომ გაჩნდა, რომ ვიღაცას ეგონოს, თითქოს აქ ხელოვნების პროფილის ტრადიციული უმაღლესი სასწვლებლებისაგან (სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი) განსხვავებით, ისეთ დისციპლინებს ასწავლიან, სხვებს რომ არ სმენიათ. ნუ იტყვით და, ამ კედლებში რიგით ხელოვნებათმცოდნეებს კი არ ამზადებენ, არამედ ხელოვნებათმცოდნე-ექსპერტებს, თითქოს ხელოვნებათმცოდნეობა თავისთავად არ გულისხმობდეს ამ დარგის ექსპერტობას. ან, ნეტავ, ჟურნალისტი-ხელოვნებათმცოდნე რას ნიშნავს? ხელოვნებათმცოდნეებს აღარ უჭრით კალამი თუ მართლა სწავლების დასავლურ მოდელზე გადავედით და პრაქტიკოს ჟურნალისტთა პერიოდული გადამზადება სწორედ კულტურის ინსტიტუტში ინერგება? აი, რას ნიშნავს კარგი განათლება. მეც რომ კულტურის უნივერსიტეტი დამემთავრებინა, ვინძლო ჟურნალისტი-მუსიკათმცოდნე გამოვსულიყავი და მერე აღარ ვიკითხავდი, რა მეთოდით ასწავლიან აქ საეკლესიო მუსიკას? როგორც მივხვდი (კი არ მივხვდი, მიმახვედრეს), აქ რეგენტებს ზრდიან. ქართული გალობის წინააღმდეგი ან კი რატომ უნდა ვიყო, მაგრამ დავიჯერო, ჩვენი კონსერვატორიის კურსდამთავრებულები ამ ღვთისნიერ პროფესიას მაშინაც ვერ დაეუფლებიან, თუ სასულიერო სემინარიაში შესაბამის კურსს გაივლიან, თანაც სასულიერო პირების უშუალო ხელმძღვანელობით? ან საეკლესიო მხატვრობას ვინ ასწავლის და, შესაბამისად, რომელ ტაძარს ამშვენებს აქაური სტუდენტებისა თუ მასწავლებლების მიერ დაწერილი ხატები?

სინამდვილეში საქმე მარტივადაა. კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში ვერც ხატვას ასწავლიან სამხატვრო აკადემიაზე უკეთ და ბავშვი აქ ვერც სამსახიობო ხელოვნებას დაეუფლება თეატრალურ ინსტიტუტზე უკეთესად. ამიტომ მიამიტი მშობლების თვალის ასახვევად ხელოვნურად შეკოწიწებულ დისციპლინებს ასწავლიან. ჰო, მართლა, ეთნოპლასტიკა გამომრჩა. მე, რასაკვირველია, ვერ მივხვდი, ამ კომპოზიტის მიღმა რა იმალებოდა, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მარჯანიშვილის თაეტრის რკინის ღობეზე მიმითითეს და ცნობისმოყვარეობა სავსებით დავიკმაყოფილე. საბოლოო ჯამში სულაც არაა საჭირო ხელოვნებათმცოდნე-ექსპერტობა იმაში დასარწმუნებლად, რომ ამ ხელოვნურ უნივერსიტეტში კულტურის პროფანაცია ხდება.

აშკარაა, ამ უნივერსიტეტს, ისევე როგორც ბევრ სხვა ახლადგამომცხვარ უმაღლეს სასწავლებელს, არანაირი კონცეფცია და სამოქმედო სტრატეგია იმთავითვე არ გააჩნდა. ამიტომაც იცვლება ყოველ სასწავლო წელს სპეციალობები, ზოგზე საერთოდაც აიცრუეს გული. ასე მაგალითად, აღარ ისწავლება არც კულტუროლოგია და არც ლიტერატურული დაოსტატება. პირველი იმიტომ, რომ წამყვანმა პროფესორმა აქაურობა მიატოვა, მეორე კი იმ მიზეზით, რომ ცნობილი მწერალი, ეს კურსი რომ მიჰყავდა, გარდაიცვალა. საერთოდაც, ვინმეს თუ უკვლევია, რა ბედი ეწიათ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, რომლებიც ისედაც მიაღწევდნენ წარმატებას თავ-თავიანთ სფეროში?

როგორც ჩანს, აქ "პიონერთა სასახლის" პედაგოგები "პიონერთა სასახლის" პედაგოგებსვე ზრდიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი აქამდე არსებობდა, ველარ იარსებებს. ისე კი, კულტურისა და ხელოვნების ეს ნაძალადევი უნივერსიტეტი, თავისი ჭრა-კერვისა და ტაშ-ფანდურის წრეებით, საბჭოთა პერიოდის კულტურის სახლს უფრო წააგავს - ოღონდ ეგაა, მაშინდელ კულტურის სახლებში საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და ტურიზმის წრეებზე მოთხოვნილება არ იყო.

## ფოტორეპორტაჟი











ჩოგბურთი

# რუსთა ალღუმი ჩაიშალა



ფედერერმა რუსების ბოლო იმედი, დავიდენკო, ტურნირიდან დაითხოვა.

ლეგენდარული ავსტრალიელი ჩოგბურთელის როდ ლეივერის სახელობის კორტზე ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ბოლო მეოთხედფინალისტები გამოვიდნენ. მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი რუს ნიკოლაი დავიდენკოს შეხვდა. ჩოგბურთის მოყვარულებს ეხსომებათ, რომ შარშანდელ გათამაშებაში ფედერერი ნახევარფინალში სწორედ რუს მარატ საფინთან ბრძოლაში დამარცხდა (საფინს ამის შემდეგ აღარ გასჭირვებია ტურნირის მოგება) და რუსებს ამჯერადაც ფორტუნის იმედი ჰქონდათ, თუმცა მათ იმედებს ის ფაქტი ეწინააღმდეგებოდა, რომ ფედერერსა და დავიდენკოს შორის მანამდე გამართულ ექვს შეხვედრაში გამარჯვებული ყოველთვის შვეიცარიელი გამოდიოდა.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 5) | 6:4, 3:6, 7:6, 7:6 |
| ნიკოლას კიფერი (გერმანია, 21) - სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 25) | 6:3, 0:6, 6:4, 6:7, 8:6 |
| **ქალები:** | |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 7) | 6:3, 6:0 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 6:3, 2:6, 6:4 |

ფედერერმა თამაში ძალიან ძლიერად დაიწყო. მისი პირველივე მოწოდება ეისით დასრულდა. შვეიცარიელმა თავისი მოწოდება მოიგო და მეტოქის მოწოდებაზე 30:0 წაიყვანა. დავიდენკო თითქოს შეძრწუნდა, მაგრამ მან მოახერხა თავისი მოწოდების მოგება და ამის შემდეგ თანაბარი თამაში გაჩაღდა. თუმცა ფედერერი თავის მოწოდებებს მეტოქეზე უფრო იოლად იგებდა. პრინციპში ამიტომაც არის ის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რომ სხვაზე უკეთ გამოიყურება. დავიდენკომ ფედერერს - 4:4-მდე გაუძლო. ამის შემდეგ კი შვეიცარიელმა ზედიზედ ორი მოწოდება მიითვალა და პირველი სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტის დასაწყისიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეტოქეებმა მოწოდებები ორჯერ გაცვალეს და შემდეგ დავიდენკომ ფედერერის მოწოდება მოიგო და შემდგომში უპირატესობა აღარ დაუთმია - 6:3 დავიდენკოს სასარგებლოდ.

უშეღავათო გამოდგა მესამე პარტიაც. დავიდენკო - 5:3 იგებდა და საკუთარ მოწოდებაზე 30:0-ს იგებდა, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გამონახა ძალა იმისთვის, რომ მდგომარეობა გამოესწორებინა ანგარიში გაეთანაბრებინა და საბოლოო ჯამში თამაში ტაი-ბრეიკში გადაეყვანა.

ამის მიუხედავად მესამე სეტი თითქოს მაინც რუსის სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო. მან ტაი-ბრეიკი შვეიცარიელზე უკეთ დაიწყო - 4:1 იგებდა, შემდეგ ანგარიში - 6:3 გახდა დავიდენკოს სასარგებლოდ. რუს ჩოგბურთელს ერთბაშად სამი სეტბოლი ჰქონდა. თუმცა შეუპოვარმა ფედერერმა მაინც მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება და ანგარიში გაათანაბრა. ალბათ, ორივე მეტოქე გრძნობდა, რომ მესამე პარტიაში არა მხოლოდ სეტის, არამედ შეიძლება მთლიანად მატჩის ბედი წყდებოდა. დავიდენკო ისევ დაწინაურდა. ეს უკვე მისი მეექვსე სეტბოლი იყო. მაგრამ ფედერერმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინა. ამის შემდეგ კი ნიკოლაი დავიდენკო დანებდა. პარტია მან საკუთარ მოწოდებაზე ორმაგი შეცდომით დაასრულა. ფედერერი დაწინაურდა - 2:1.

ტაი-ბრაიკზე გადაწყდა მეოთხე პარტიის ბედიც. ამჯერად გადამწყვეტი გეიმი უკეთ შვეიცარიელმა დაიწყო. ის დაწინაურდა - 5:2. დავიდენკომ ორი ბურთი გაქვითა, მაგრამ ფედერერმა მეორე მატჩ-ბოლის უფლება მოიპოვა. პირველი მატჩ-ბოლი დავიდენკომ გაქვითა, მაგრამ მეორის განეიტრალება ვეღარ მოახერხა. მატჩი კი ფედერერმა იმით დაასრულა, რითიც დაიწყო. მან მეტოქეს ეისი მიართვა და რუსების ალღუმიც ამით ჩაიშალა.

ახლა ფინალის საგზურისთვის მსოფლიოს პირველი ჩოგანი გემრანელ ნიკოლას კიფერს დაუპირისპირდება, რომელმაც მომქანცველ, ხუთსეტიან ბრძოლაში დაამარცხა ფრანგი სებასტიან გროსჟანი.

გაირკვა ქალთა შორის ნახევარფინალისტების ვინაობაც. ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა, როგორც იქნა, შეაჩერა ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგნის შვეიცარიელი მარტინა ჰინგისის სენსაციური სვლა. მან მეტოქე სამ სეტში დაამარცხა და ამ გამარჯვების შემდეგ მსოფლიო ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში პირველ საფეხურზე აღზევდა. მეორე მეოთხედფინალში კი ფრანგმა ამელი მორესმომ იოლად, ორ სეტში დაამარცხა შვეიცარიელი პეტი შნაიდერი - 6:3, 6:0.

სათხილამურო სპორტი

# ავსტრიის ღამის ფინელი მთვარეული

გიგა გურასაშვილი

*სლალომისტთა მსოფლიო თასის მეშვიდე ეტაპზე, რომელსაც ავსტრიის შლადმინგი მასპინძლობდა, ავსტრიელთაგან კვარცხლბეკზე ასვლის პატივი მხოლოდ ბენიამინ რაიხმა დაიმსახურა. მსოფლიო თასის აბსოლუტური ჩათვლის ლიდერმა "პლანაის" ფერდობზე ჭიშკრებს შორის სრიალი მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ მეორე ცდაზე თავი გამოიდო და მეათე პოზიციიდან მესამეზე აზარგდა. გამარჯვება კი ბევრისთვის მოულოდნელად ფინელმა კალე პალანდერმა მოიპოვა. მოულოდნელობა იყო იაპონელი აკირა სასაკის მეორე შედეგიც.*



პალანდერმა გამარჯვების გემო გაიხსენა.

პალანდერი, რომელიც სლალომში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია, სათასო შეჯიბრებებზე სამშაბათამდე ორი წელიწადი არ უმართლებდა, მანამდე კი ამავე რანგის ასპარეზობებზე ექვსჯერ ემარჯვა.

"საკმაოდ მომიწია ლოდინმა... რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო ვიძაბებოდი და საკუთარ თავს წნეხის ქვეშ ვამყოფებდი, - ფინიშის ხაზთან მისრიალებულმა განაცხადა 28 წლის პალანდერმა. - ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოვიხსენი".

სამშაბათის ეტაპი იმითაც იყო საინტერესო რომ სლალომისტებს მეორე და დასკვნით ცდაზე საასპარეზოდ თბილისის დროით 23:45 საათზე უხმეს. დღის განათებით გაბრდღვიალებული ტრასა კი შეჯიბრებას მეტ ელფერს სძენდა, მასპინძლები კი უზარმზარ დროშებს აფრიალებდნენ და რაიხისგან გამარჯვებას ითხოვდნენ. თუმცა არც თანამემამულის მესამე ადგილით დარჩენილან უკმაყოფილო.

"ეს ტრასა ჩემთვის რაღაც განსაკუთრებულია. აქ საუკეთესო ატმოსფერო და უდიდესი ენერგია იგრძნობა. მეათე ადგილიდან მესამემდე დაწინაურება კი საოცრება იყო. ამას ნამდვილად არ ველოდი", - განაცხადა რაიხმა, რომელმაც აბსოლუტურ ჩათვლაში პირველობა უფრო განიმტკიცა. ბენი რაიხი ამჟამად 952 ქულის პატრონია და უახლოეს მდევარს თანაგუნდელ მიხაელ ვალშოფერს, რომელიც ტექნიკურ დისციპლინებში მოიკოჭლებს და ჩქაროსნულის ოსტატადაა აღიარებული, 248 ქულას უგებს.

რაც შეეხება სლალომისტთა ჩათვლის პირველადგილოსან ამერიკელ ბოდე მილერს, აბსოლუტურ ჩათვლაში რაიხს მასთან 264-ქულიანი უპირატესობა აქვს.

ავსტრიელებისგან განსხვავებით იაპონელი მოთხილამურე აკირა სასაკი ვერცერთ ჩათვლაში ვერ დაიკვეხნის შესაშური ქულებით (აბსოლუტურში 31 საფეხურზეა), მაგრამ ტორინოს ოლიპიური თამაშების წინ მსოფლიო თასზე მეორე შედეგით ფრთაშესხმული რომ დატოვებდა შლადმინგს ფაქტია.

"დიდი ხანია ამაზე ვოცნებობდი. როდესაც შევიტყე რომ მეორე საუკეთესო შედეგი მქონდა, სიხარულისგან არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. საოლიმპიადოდ გუნება-განწყობა აშკარად გამიუმჯობესდა", - ფოტორეპორტიორებით გარშემორტყმული აცხადებდა სასაკი, რომელიც სამშაბათამდე სამეულში ერთადერთხელ მოხვდა და ისიც სამი წლის წინათ ვენგენში (შვეიცარია). სხვათა შორის, მაშინაც მეორე შედეგი ჰქონდა.

რაც შეეხება აბსოლუტური ჩათვლის მოქმედ ჩემპიონს ბოდე მილერს, მას არც ამჯერად გაუმართლა - პირველივე ცდაზე ჭიშკარს აცდა, რაც მისთვის მეხუთე ასეთი შემთხვევაა. ერთი სიტყვით, მცდელობა იმისა, რომ მილერს შარშანდელი შედეგი გაემეორებინა ფაქტობრივად, დასრულებულია.

**შლადმინგი, ავსტრია**
**სლალომი.**
**მსოფლიო თასის მე-7 ეტაპი**

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| კალე პალანდერი | 1:42.34 |
| აკირა სასაკი | 1:43.13 |
| ბენიამინ რაიხი | 1:43.15 |

ოლიმპიზმი

# უგაზობა ტორინოს თამაშებსაც გადაწვდა

გიგა გურასაშვილი

*ბევრი კონტინენტისკენ მიმავალი მილსადენებიდან აორთქლებულმა რუსულმა გაზმა მძიმე ვითარებაში ჩააგდო არა მარტო მისი მომხმარებელი, არამედ ტორინოს ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებიც. იტალიური საგაზო კონცერნის "ენის" ხელმძღვანელები აცხადებენ, თუ უახლოეს ხანში სუსხი არ შენელდა, ხოლო რუსეთიდან ცისფერი აირის მოწოდება ჩვეულ მოცულობას არ დაუბრუნდა, აპენინებზე გაზის სერიოზული დეფიციტი წარმოიქმნებაო. მეტიც, უგაზობა უმთავრეს ოლიმპიურ ფიალას ოლიმპიური ცეცხლის გარეშე დატოვებს!*



ოლიმპიური ჩირაღდანი ანტიგლობალისტებმა მაინც ვერ შეაჩერეს.

57-მეტრიანი ერთგვარი ფუტურისტული კოშკურა, სადაც ტორინოს ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე 10 თებერვალს საბერძნეთიდან წამოღებული ცეცხლი უნდა დაენთოს, კარს მომდგარი თამაშების ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობათაგანია - შედგება ხუთი ერთმანეთში გადაჯაჭვული თუ ჩახლართული მილებისგან (თითოეული 60 სანტიმეტრ დიამეტრისაა), რომელზეც 17 დღის განმავლობაში იგიზგიზებს ცეცხლი. აღსანიშნავი კი ისაა, რომ ეს ჩირაღდანი ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე მაღალია და ტორინოს ნებისმიერი წერტილიდან მოსჩანს. მეტად ორიგინალური ჩირაღდანი თამაშების მასპინძლებს მილიონნახევარი ევრო დაუჯდათ. იტალიელებმა იმდენად მოინდომეს, რომ წვის შედეგად წარმოქმნილი სათბური აირი კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული კვოტების შესაბამისი იქნება.

ოლიმპიური სტადიონის ფიალაში ცეცხლის დანთების პროცედურა თამაშების გახსნის ცერემონიის უმთავრესი მოვლენა იქნება, მაგრამ იმისთვის, რომ უჩვეულო კონსტრუქციაში ოლიმპიურმა ცეცხლმა იგიზგიზოს, საათში 8 ათასი კუბამეტრი საწვავია საჭირო. თამაშების მსვლელობისას კი 2,8 მილიონი კუბამეტრი. გაზის დეფიციტის პირობებში ეს სერიოზული მოცულობაა, რაც იტალიის მოსახლეობაში ეჭვს იწვევს – ღირს კი ლამაზი ტრადიციისთვის ასეთი მსხვერპლის გაღება.

ჯერჯერობით "ტორინო-2006"-ის საორგანიზაციო კომიტეტის და "იტალგაზის" კორპორაციის მესვეურები ირწმუნებიან, რომ ვითარებას აკონტროლებენ და რომ ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას წმინდა ცეცხლს საფრთხე არ ელის.

და კიდევ, ერთ-ერთი გეგმის მიხედვით, გამორიცხული არაა, გახსნის საზეიმო ცერემონიალის დასრულებიდან ნახევარ საათში, მეთანის ეკონომიის მიზნით, სიმბოლურ ცეცხლს ცოტა დაუწიონ.

P.S. იტალიის ტრენტეში ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტისას, რვა ანტიგლობალისტი, რომლებიც სახეს ნიღბებით ფარავდნენ, თავს დაესხნენ 1500 მეტრზე რბენაში იტალიის ჩემპიონს ელეონორა ბერლანდუს და ტორინოსკენ მიმავალი ოლიმპიური ჩირაღდანი წაართვეს. ესტაფეტა მხოლოდ მას შემდეგ გაგრძელდა, როდესაც საქმეში კარაბინერები ჩაერთვნენ. სამართალდამცავებმა ოთხი თავდამსხმელი დააკავა, ბერლანდუს კი ჩირაღდანი დაუბრუნეს. თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა.

Independent-ის ცნობით, მას შემდეგ, რაც ოთხი ანტიგლობალისტი დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, მის მახლობლად ანარქისტებმა მოიყარეს თავი და მოძმე ანტიგლობალისტების მხარდასაჭერად სახელდახელო აქცია მოაწყვეს.

მერე და მერე განვითარებული მოვლენებით საქმეში ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ჩაერთვნენ, რომლებმაც ანტიგლობალისტებსა და ანარქისტებს სტვენა აუტეხეს. აქაოდა მასხრები ხართო.

ანტიგლობალისტთა გამოხტომით დამფრთხალმა თამაშების ზედამხედველმა მარიო პესკანტემ და ტორინოს მერმა სერჯო კიამპარინომ "ტორინო-2006"-ის ორგანიზატორებს თხოვნით მიმართეს, ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტას მარშრუტი შეუცვალეთო. საქმე ისაა, რომ ტრენტეს შემდეგ ოლიმპიურ ცეცხლს სოფელ ბუსოლენოში უნდა შეევლო. ბუსოლენო? ანტიგლობალისტთა ცენტრი ყოფილა!

გეგმის მიხედვით, დღეს ოლიმპიურ ჩირაღდანს კორტინა დ`ამპეცოში უნდა შეებიჯებინა. საინტერესო ისაა, რომ, ზუსტად 50 წლის წინათ კორტინა დ`ამპეცომ VII ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. ასე რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ოლიმპიური ცეცხლი ისევ კორტინაშია. და კიდევ, ზამთრის თამაშებზე სსრკ ნაკრების დებიუტი სწორედ აქ შედგა. ამასთან საბჭოთა ნაკრებმა დებიუტშივე ყველაზე მეტი მედალი – 7 ოქრო, 3 ვერცხლი, 6 ბრინჯაო მოიპოვა.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად ა.წ. 25 იანვარს გაზეთ "24 საათში" (№ 15(1167), გვერდი B7) გამოქვეყნებული განცხადების მე-2 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

"შენიშვნა: ტენდერის პირველ და მე-4 ლოტებზე დასაშვებია მხოლოდ ე.წ. "ბრენდის" წარმოდგენა".

## ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების დამატება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 24 იანვარს გაზეთ "24 საათში" საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში შესული ცვლილებები და დამატებები:

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107 ანგარიშის № 200122900.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. N71, ინდ. 1300 აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე (შესყიდვის ობიექტი საავტომობილო საწვავი) და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. საწვავი უნდა მიეწოდოს გარდაბნის გამგეობას ყოველდღიურად გასამართი სადგურის მეშვეობით 2006 წლის თებერვლიდან 2006 წლის ბოლომდე.

3. აუცულებელი მოთხოვნაა საწვავის გაცემის ტალონური სისტემის უზრუნველყოფა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მსურველებმა მიმართეთ სატენდერო აპარატს შემდეგ მისამართზე:

ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. N71.

4. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 16 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. N71.

5. სატენდერო მოსაკრებლის რეკვიზიტები: "სახალხო ბანკი", გარდაბნის საოპერაციო სამმართველო (ანგარიში 303030001, კოდი 220101401). გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავი გარდაბნის გამგეობა.

6. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 17 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. N71.

7. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

7.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურიდან ყადაღის არარსებობის შესახებ.

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან ლიკვიდაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

7.2. ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

ბ) ცნობა შს სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

7.3. იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა).

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

8. დამატებითი ინფირმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარდაბნის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: (8272) 5-21-98; (8272) 5-24-30.

# დიქსლის მდუმარე ყუთი




გუშინ საღამოს წიგნის მაღაზიაში "სანტა ესპერანსა" აკა მორჩილაძის ახალი რომანის "მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთის" პრეზენტაცია გაიმართა.

მისტერ დიქსლი, სანტა ესპერანსას მთავარი დეტექტივი, სანტა სიტიში, "700 ნაბიჯის" ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას იძიებს. ამ საქმესთან დაკავშირებით მასალებს აგროვებს და საქაღალდეში გარკვეული თანმიმდევრობით აწყობს, ხოლო საქაღალდეებს სპეციალურ სეიფში ინახავს.

ახლად გამოცემულ წიგნს ყუთის ფორმა აქვს, ყუთში ოთხი, წითელი, ყვითელი, ლურჯი და მწვანე საქაღალდეები აწყვია. საქაღალდეებში ტექსტებია აუკინძავი თაბახების სახით. მდუმარე ყუთში მისტერ დიქსლის მასალები და ტექსტები ინახება. თუ მკითხველი დაკვირვებით გაეცნობა მისტერ დიქსლის სეიფში და ახლა უკვე ყუთში მოთავსებულ მასალებს, ოთხი სხვადასხვა ადამიანის – ჯესიკას, ამირბარის, სიდონიასა და JJ-ს დღიურებს, ჩანაწერებს, მოთხრობებს, ბლოკნოტებს, წერილებს, ღია ბარათებს და სავიზიტო ბარათებს, გაიგებს რომანის მთავარი გმირების წარსულისა და ურთიერთკავშირის მთავარ დეტალებს და, რაც მთავარია, გაიგებს თუ ვინ არის მკვლელი და ვინ მსხვერპლი.

# პარიზი წიგნის ფესტივალისთვის ემზადება




1 200 ფრანგული და უცხოური გამომცემლობა პარიზის წიგნის ოცდამეექვსე გამოფენას ელის. 17-დან 22 მარტამდე გამართული ფესტივალი მისი წინამორბედებისგან ბევრით განსხვავდება. პირველ ყოვლისა იმით, რომ მიწვეულნი არიან არა ქვეყნები, არამედ კონკრეტულად "ფრანგულენოვანი ლიტერატურა".

გამოფენის გარდა, ტრადიციულად გაიმართება შეხვედრები და დებატები, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად პარიზში მიწვეულნი არიან მწერლები აფრიკიდან, ამერიკიდან, აზიიდან, ევროპის ქვეყნებიდან. ამ შეხვედრებისთვის ფრანგულად მოლაპარაკე და ფრანგულ ენაზე მწერალ ადამიანებს ვერსალის სასახლე ექვს დღეს უმასპინძლებს.

# ვაშინგტონის პორტრეტები იყიდება



კრისტის აუქციონზე ჩარლზ უილსონ პოლის მიერ შესრულებული ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტი შაბათს რეკორდულ თანხად - 21,3 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ორმეტრიანი ტილოს მყიდველის ვინაობა არ გახმაურებულა. ნამუშევარი 1779 წელს არის შესრულებული, მაშინ, როცა ვაშინგტონი ჯერ კიდევ არ იყო აშშ-ს პრეზიდენტი. იგი კონტინენტის არმიას მეთაურობდა.

როგორც კრისტის აუქციონის საინფორმაციო სამსახური იტყობინება, ეს ნახატი ყველაზე მაღალ ფასად გაიყიდა აქამდე გაყიდულ ამერიკულ პორტრეტებთან შედარებით. აქამდე ყველაზე ძვირფას პორტრეტად გილბერტ სტიუარტის ასევე ვაშინგტონის პორტრეტი ითვლებოდა. ეს უკანასკნელი შარშან, ნოემბერს, სოთბის აუქციონზე 8,1 მილიონ დოლარად გაიყიდა.

# ეკა, შალვა და კობა

**ეკა კვესიტაძე**: "დიალოგების" დღევანდელი თემა შალვა რამიშვილის საქმე და ის ძიებაა, რომელიც უკვე სამი თვეა, რაც მიმდინარეობს.

**კახა კუკავა**: შალვა რამიშვილის დაკავებიდან მესამე დღეს აღიარეს, რომ წინასწარი დაკავების საფუძველი ჯერ არ ჰქონდათ, მაგრამ სულ მალე ფაქტობრივ მასალებს გამოავლენდნენ. სამი თვე გავიდა და არაფერი ახალი - გამოძიება ვერ ასახელებს ვერც ერთ იურიდიულ საფუძველს, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით იქნება გათვალისწინებული, თუ რატომ უნდა იყოს ეს ადამიანი ციხეში. მე გეტყვით ჩემს ვარაუდს - ეს კეთდება შალვა რამიშვილზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით: რათა მან დადოს საპროცესო გარიგება

**ეკა კვესიტაძე**: სატელეფონო ხაზზეა ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე. რა შთაბეჭდილება შეგექმნათ პროცესის შემდეგ, თქვენ პრეტენზიები გქონდათ გამოძიების მისამართით?

**ვახტანგ კომახიძე**: დიახ, გარკვეული დეტალები გამაღიზიანებელი იყო. ოფისში მოვიდნენ ყოველგვარი საბუთის გარეშე და გარკვეულ საბუთებს ითხოვდნენ, ჩხრეკის ჩატარებაც სურდათ. ასე ვთქვათ, ხულიგნურად იქცეოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტელევიზიები მოვიდნენ ჩვენთან, თავი დაგვანებეს.

**ეკა კვესიტაძე**: როგორ გგონია, რამდენად ეფექტურად მუშაობს საგამოძიებო კომისია?

**ვახტანგ კომახიძე**: რთულია წინასწარ რამის თქმა, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიხედვით ვიმსჯელებ. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მივიტანეთ კობა ბექაურის საუბრის ჩანაწერი, სადაც ეს უკანასკნელი ამბობს, რომ მე მივიყვანე ოპიზაში ხალხი და ფეხზე დავაყენე ეს სამსახური. ამას ამბობს და ეს ჩანაწერი გამოძიებას აქვს. მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს კომისია, მაგრამ მე ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ ბექაური ამ საწარმოს მმართველი იყო.

**ეკა კვესიტაძე**: მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ეს ფირი, არანაირი ბრალეულობა ბექაურისა დღის წესრიგში არ დგება. როგორ ფიქრობ, როგორია შენი პირადი განცდა, როგორი იქნება გადაწყვეტილება? რამდენად აიძულებენ შალვას გარიგებაზე წასვლას?

**ვახტანგ კომახიძე**: უპასუხოდ დავტოვებ ამ კითხვებს, მაგრამ ვიტყვი, რომ ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ამ საქმესთან, საკუთარი ქმედების გაშიშვლება ნამდვილად არ უნდა.

**ეკა კვესიტაძე**: შენთვის რამიშვილი არის თუ არა დამნაშავე?

**ვახტანგ კომახიძე**: შალვას დანაშაული არის თუ არა, ამაზე სანამ სასამართლო გადაწყვეტილება არ იქნება, მე არ ვილაპარაკებ, თუმცა ამ საქმეში ხელისუფლების გარკვეული ჯგუფი მონაწილეობდა, ამის თქმა ნამდვილად შემიძლია.

**ეკა კვესიტაძე**: ბატონო კახა, შალვა რამიშვილი დღემდე ჯიუტად აცხადებს, რომ იგი არაფერში დამნაშავე არ არის და ყველაფერი ხელისუფლების პროვოკაციის ბრალია; პირადად თქვენ როგორ ფიქრობთ ამ საკითხთან მიმართებაში?

**კახა კუკავა**: აქ ჩვენ უნდა დავაკონკრეტოთ. თუ სამართლებრივ ბრალეულობაზე ვსაუბრობთ, იგი არის აბსოლუტურად უდანაშაულო, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მისით აღფრთოვანებულები უნდა ვიყოთ. მას ბრალეულობა წაყენებული აქვს გამოძალვისთვის, არა ქრთამის აღებაში, ეს არ შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ რამიშვილი ბექაურს თანხის გადახდას მუქარის გზით აიძულებდა. მაგრამ მუქარის არსებობის არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს, ანუ ის, რაც პირდაპირ ან ირიბად, რაიმე ფორმით ადასტურებდეს გამოძალვას. მე არ მეგონა, რომ საქმის გამოძიება დასრულდებოდა მხოლოდ იმ ფირის საფუძველზე, რომელიც პირველსავე დღეს წარმოადგინეს და რომელშიც არაფერია ისეთი, რაც თანხის გამოძალვაზე მიუთითებს.

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციის, სანიტარული ნორმებით უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო საშუალებების კვალიფიციური პერსონალით მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

| N | ობიექტი |
|---|---|
| 1 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7 |
| 2 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ავლაბრის რეზიდენცია (სასტუმრო სახლი) ქ.თბილისი, ალვანის ქ. N5 |
| 3 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ავტობაზა ქ.თბილისი, გორგასალის II ჩიხი N5 |
| 4 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წეროვანის რეზიდენცია მცხეთა, სოფელი წეროვანი |
| 5 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ლიკანის რეზიდენცია ქ.ბორჯომი, მესხეთის ქ. N16 |
| 6 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბობოყვათის რეზიდენცია ბობოყვათი |
| 7 | საქ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბათუმის რეზიდენცია ქ.ბათუმი, ზ. გამსახურდიას N10 |

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 თებერვლიდან 20 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიული პირისათვის:*

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და / ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

*ფიზიკური პირისათვის:*

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 30200 3000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 17 თებერვლამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რამაზ მინდიაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 99 89 77; 8 93 180324 და შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 93 47 39; 8 99 732878; მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7;

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

| ლოტები | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა |
|---|---|---|---|
| 1 ლოტი | 1. **ქაღალდი 80 გრამიანი; ფორმატის A-4, ზომა: 210X297მმ; სითეთრე - მინ 96%; შეფუთული - 500 ერთეული შეკვრაში; ქაღალდი უნდა გამოიყენებოდეს ყველა სახის ლაზერული პრინტერისა და ასლგადამღები აპარატისათვის** | კგ | 33895 |
| | 2. **საგაზეთო ქაღალდი 45-50 გრ. ფორმატი - 4, ზომა : 210X297** | კგ | 16630 |
| | 1 კონვერტი დიპლომატიური | ცალი | 410000 |
| | 2 კონვერტი A-4 | ცალი | 20000 |
| 2-ე ლოტი | 1 ფანქარი | ცალი | 2190 |
| | 2 საწერი კალამი | ცალი | 61580 |
| | 3 სკრეპი | კოლოფი | 4700 |
| | 4 სტეპლერის ტყვიები | კოლოფი | 5020 |
| | 5 შტრიხი (კალამი) | ცალი | 5770 |
| | 6 წებო | ცალი | 4820 |
| | 7 ჭიკარტი | კოლოფი | 660 |
| | 8 კაპიროვკა | შეკვრა | 780 |
| | 9 საბეჭდი მანქანის ლენტა | ცალი | 1300 |
| | 10 ფაილი | შეკვრა | 230 |
| | 11 სტეპლერი | ცალი | 1200 |
| | 12 მაკრატელი | ცალი | 1560 |
| | 13 საკანცელარიო დანა | ცალი | 1370 |
| | 14 მარკერი | ცალი | 1350 |
| | 15 სწრაფჩამკერი | ცალი | 1810 |
| | 16 ბაინდერი | ცალი | 1390 |
| | 17 ჩასანიშნი ფურცელი | ცალი | 3010 |
| | 18 სკოჩი | ცალი | 1810 |
| | 19 კაპრონის ძაფი | კგ | 180 |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე:

/ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში./

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 15 თებერვლიდან 17 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.
2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1. იურიდიული პირებისათვის:

· ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

· ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

· ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);

· ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩდება.
4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებსN სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. 2006 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.
5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133.

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლია მინდიაშვილი, ქეთევან სირაძე, ტატიანა კაპანაძე მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93 56 96; 92 09 31

**სატენდერო კომისია**



## სტუმრად მაია ჭალაგანიძესთან

# მატარებლით ევროპული სტანდარტებისკენ

*რკინიგზა ჩვენს ქვეყანაში არასდროს ყოფილა ყველაზე გამჭვირვალე ბიზნესი. სატრანზიტო ქვეყნებში ეს გამჭვირვალობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ბიზნესმენები მოითხოვენ, რომ ტარიფების, მოძრავი შემადგენლობების, რეზერვუარების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყოს, ხოლო ინფორმაცია ამ ყველაფრის შესახებ - გამჭვირვალე, რათა იმაზე მეტი არ გადაიხადონ, ვიდრე ეს ღირს. ჩვენი რეგიონი, დაწყებული ქართული პორტებით, ავღანეთისა და ჩინეთის საზღვრით დამთავრებული - დასავლეთისთვის გეოპოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვანია. ეს კი სრულიად გამჭვირვალე, საჯარო და სანდო სატრანსპორტო სისტემის არსებობას მოითხოვს. დღეს რკინიგზაში 15 000 ადამიანია დასაქმებული. ამ დარგში წლების განმავლობაში არსებულმა კორუფციამ ის მოიტანა, რომ დღეს საქართველოს მაღალი რანგის სატრანსპორტო სერვისის შეთავაზება ჯერ კიდევ არ შეუძლია. ეს რომ გაიგოთ, არ არის საჭირო იყოთ გადაზიდვებით დაკავებული ბიზნესმენი. უბრალოდ, გადით სადგურში და ფანჯრიდან შეიჭყიტეთ რიგით მატარებელში...*



**ირაკლი ეზუგბაია: 1978 წელს თბილისში დაიბადა. დაამთავრა მე-2 ექსპერიმენტული სკოლა, სწავლობდა კომაროვში, შემდეგ ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტზე, სადაც მაგისტრის წოდება მიიღო. სწავლობდა კავკასიის ბიზნესსკოლაში, ფინანსებს MBA-ში ეუფლებოდა, სადაც რამდენიმე საგანი კიდევ აქვს ჩასაბარებელი. მუშაობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების ცენტრში, რომელიც კანცელარიას ექვემდებარებოდა, შემდეგ ეი-ი-ეს თელასში რამდენიმე მმართველ პოზიციაზე იყო, ეს თანამშრომლობა მცირე ხანს რაო-ს მმართველობის დროსაც გაგრძელდა. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გენერალურ დირექტორად დანიშვნამდე 7 თვის მანძილზე პრემიერის მრჩეველი იყო.**

**- ცოტა რიტორიკული კითხვაა, მაგრამ იმედი მაქვს, სტანდარტულ პასუხს არ გამცემთ. მიხვდით, რატომ არის თქვენი თანამდებობა ბევრისთვის ასე სასურველი?**

- რომ გითხრათ, რკინიგზის გენერალური დირექტორობა ჩემი ოცნება იყოო, მართალი არ ვიქნები. შესაბამისად, ჩემთვის ამ თანამდებობას ამგვარი ხიბლი არ ჰქონია. შემიძლია გითხრათ, რომ ეს ძალიან საპასუხისმგებლო პოზიციაა. ტრაფარეტულად თუ ვიტყვით, ჩვენი ორგანიზაცია ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს ახლაც და მომავალშიც.

რაც შეეხება, დამატებით შემოსავლებს პირადი ინტერესებისთვის - როდესაც ჩემი ამ თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღეს, მიზნად დასახული იყო ამგვარი შემოსავლების აღკვეთა და კომპანიის გამჭვირვალობა.

**- რა ანტიკორუფციული დამცავი მექანიზმები შეიმუშავეთ?**

- კომპანიის მთავარი პრობლემა მისი მასშტაბებია. რისი გაკეთებაც პირველ რიგში დავიწყეთ, სტრუქტურულ ერთეულებს შორის სამუშაოების მოწესრიგება იყო. მთავარი პრობლემა მასშტაბები და ანგარიშსწორების მექანიზმების მოწესრიგებაა, რაც უკვე დავიწყეთ. ეს, საბოლოო ჯამში, მოგვცემს ინფრასტრუქტურით სარგებლობის ტარიფების დადგენის საშუალებას, რომელსაც ნაღდი ანგარიშსწორებით გადაიხდიან.

ჩვენ მიერთებული ვართ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლის წევრებიც არიან დსთ-ს, ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ამ სერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია ტარიფები, რომელიც, გულახდილად რომ ვთქვათ, საკმაოდ მოძველებულია. აღრიცხვიანობის მოწესრიგების ფარგლებში სატარიფო პოლიტიკაში ამოცანების დაზუსტება განიხილება. შუა სექტემბრისთვის უნდა გვქონდეს ტარიფების დაზუსტებული პარამეტრები, რომელიც მოიცავს ფიქსირებულ ხარჯებს, დამატებით ცვლად ხარჯებს და უკვე დადგენილ შემოსავლებს.

**- პერსპექტივაში განიხილება თუ არა ჩვენი რკინიგზის ევროპულ სარკინიგზო ზომებზე გადასვლა, რაც გადაზიდვებს უქმნის პრობლემას?**

- ამ ზომების გამო, თურქეთიდან პირდაპირ შემოსვლა მართლაც შეუძლებელია, მაგრამ გამოსავალი ტექნიკურად არსებობს. შესაძლებელია სავალი ნაწილის შეცვლის ტექნოლოგიური მექანიზმები, რითიც ევროპული ვაგონი პირდაპირ გააგრძელებს გზას. თუმცა, ამ ეტაპისთვის ეს ცვლა არ ხდება, რადგან ძირითადი ტვირთები ჩვენთან ბორნების მეშვეობით შემოდის.

მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მუშაობა ყარსი-ახალქალაქის პროექტზე, რაც თავისთავად ამ ტექნოლოგიას ითვალისწინებს და ვფიქრობ, რომ ეს იქნება პირველი პროექტი, რომელიც საქართველოს პირდაპირ დააკავშირებს ევროპის სატრანსპორტო მაგისტრალებთან.

**- ამ პროექტის ეკონომიკური ეფექტი ძალზე თვალშისაცემი იქნება?**

- ეს მოგვცემს დამატებით ტვირთნაკადებს. თუმცა, ახლა თურქული მხარე მარკეტინგულ კვლევას აწარმოებს. ამ კვლევის მიზანი და ჩვენი ინტერესია ის, რომ ფოთისა და ბათუმის პორტებმა ტვირთები არ დაკარგოს. თუ კვლევებით გამოჩნდება, რომ ეს მიმართულება ამ ორი ქართული პორტის ტვირთების კლებას უკავშირდება, უკვე ჩვენთვის საინტერესო აღარ იქნება. თუმცა, შედეგებს დაველოდოთ.

**- რკინიგზასთან ძალიან ბევრი კერძო ბიზნესია მიბმული. რა ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ მათთან?**

- დაახლოებით, 200-მდე კერძო კომპანიაა. ურთიერთობა პირდაპირია - იხდიან გადაზიდვების ღირებულებას, გვაძლევენ დანიშნულებას და ჩვენ ამას ვასრულებთ. ჩვენ შემსრულებელი ორგანიზაცია ვართ.

**- ბიზნესებთან წინააღმდეგობები არ გქონიათ?**

- ჩემი მმართველობის დროს - არა, მაგრამ წინააღმდეგობა ის არის, რომ საკმაოდ გართულებულია მართვის პროცესი. მაგალითად, თუ კომპანიას ტყიბულიდან თბილისში ჩამოტვირთვა უნდა, უნდა ჩამოვიდეს თბილისში, შეავსოს განაცხადი და აქედან გაიცემა დავალება. ჩვენ ვმუშაობთ ამ პროცედურის გამარტივებაზე. იქმნება ერთი ფანჯრის პრინციპით მოწყობილი რამდენიმე სერვისცენტრი, სადაც ერთი მისვლით და ერთხელ გადახდით შესაძლებელი გახდება საქმის წარმოება.

მეორე წინააღმდეგობა გადასახადებია – სადგურებში 20 ტიპის გაუგებარი გადასახადი არსებობს. შეიძლება იყოს ერთი გადასახადი, რომელიც სადგურის მომსახურებას მოიცავს. ამაზეც ვმუშაობთ, ჩვენი მიზანი ამ პროცედურების გამარტივებაა. თავისუფლად შეიძლება ადამიანმა საქმიანობა ერთი ადგილიდან, ოთახიდან გაუსვლელად ინტერნეტით აწარმოოს.

**- სამი თვეა, ამ თანამდებობაზე მუშაობთ. რა ქონება გადაიბარეთ?**

- ტექნიკური პარამეტრების კუთხით მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ხიდებისა და გვირაბების უმეტესობა 60 წელს გადაცილებული და რთულ მდგომარეობაშია. კარგად გავთვალეთ ახლო მომავლის ინფრასტრუქტურული პროცესები, რომელშიც სენაკისა და ძეგვის ხიდების დასრულება შედის.

შემოსავლების მხრივ ნორმალური ვითარებაა. ჩემი აზრით, ხარჯების სტრუქტურაა დასახვეწი და ოპტიმიზაციას საჭიროებს, რაზეც უკვე ვმუშაობთ.

რაც შეეხება შემოსავლებს - ტვირთების პოტენციური ნაკადები იზრდება. მაგალითად, დეკემბრის გადაზიდვებში ნოემბერთან შედარებით, 10 პროცენტიანი ზრდაა. ამ იანვრისა კი, პრაქტიკულად, უკვე აღემატება წინა წლის იანვარს.

გარდა ამისა, ველით, რომ ნავთობის ტვირთნაკადი აზერბაიჯანის მიმართულებით თებერვლიდან, დაახლოებით, 40 პროცენტით გაიზრდება. ტვირთნაკადების ზრდის ტენდენცია კარგია. მთავარი საზრუნავი ხარჯების სტრუქტურული ოპტიმიზაციაა.

**- რკინიგზის დეპარტამენტს არაერთი ორგანიზაცია ეკუთვნოდა - საავადმყოფოები, კულტურის სახლები, სტადიონი, საბავშვო ბაღები, ერთი ინსტიტუტიც. რა ბედი ეწიათ ამ ორგანიზაციებს?**

- იმ ფუნქციების სტრუქტურის გარეთ გატანას შევეცადეთ, რაც ჩვენი კომპანიის პროფილი არ არის.

ინსტიტუტმა, სამწუხაროდ, ვერ გაიარა აკრედიტაცია. ამ ეტაპზე ის სტუდენტები დაამთავრებენ სწავლას, რომელთანაც ვალდებულებები გვაქვს აღებული. როგორც კი ეს ხელშეკრულებები დამთავრდება, ახალ ნაკადს აღარ მივიღებთ.

საბავშვო ბაღები და საავადმყოფოები საკმაოდ რთულ პირობებში არიან. საბავშვო ბაღების განათლების სამინისტროსთვის გადაცემის პროცესში ვართ. ამას უნდა უვლიდეს ის ორგანიზაცია, რომლისთვისაც ეს პროფილია, ან უნდა უვლიდეს კერძო ორგანიზაცია. რკინიგზისთვის ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

**- რკინიგზის კუთვნილება იყო აგრეთვე "ლოკომოტივის" სტადიონი და იგივე სახლწოდების ფეხბურთის გუნდიც...**

- გუნდი უკვე გადაცემულია სახელმწიფოსთვის. სტადიონის შემდგომი ბედის გადაწყვეტისას კი გათვალისწინებული უნდა იყოს პროფილის შენარჩუნება. კომპანიამ, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად კერძო უნდა იყოს - ვალდებულება უნდა აიღოს, რომ ეს სტადიონი სტადიონად დარჩება. ამის მსურველი რამდენიმე ადამიანი უკვე გამოჩნდა. ახლა ეკონომიკის სამინისტრო მოლაპარაკების, ან ტენდერის შედეგად ამ საკითხსაც გადაწყვეტს.

**- რა ეტაპზეა აფხაზეთის რკინიგზასთან დაკავშირებული მოლაპარაკება და რამდენად ხართ ჩართული ამ საქმეში?**

- თბილისში ჩატარდა საქართველო-რუსეთის ეკონომიკური კომისიის სხდომა, სადაც კონსორციუმის ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიიღეს. მხარეებს მექანიზმების შემუშავება დაევალათ და ამაზე ჩვენც ვმუშაობთ.

**- ყველაზე რთულად გადასაწყვეტი საკითხი რა არის?**

- რთულია მიწის გამოყოფის საკითხი, საიდანაც გამოსავალს, ჯერჯერობით, ვერ ვპოულობთ.

**- ვინ მოემსახურება ამ რკინიგზას, რომელი მხარე დაიცავს მის უსაფრთხოებას?**

- ჩემი აზრით, ეს პრობლემა არ იქნება. დაცვის საკითხს, ალბათ, საკუთარ თავზე კონსორციუმი აიღებს.

**- აფხაზური მხარე აქ წარმოდგენილი არ იქნება?**

- ამაზე მსჯელობა ახლა მიმდინარეობს და ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ ამ საკითხს. ეს შემუშავებულ მექანიზმებზეა დამოკიდებული. ქართული წარმომადგენლობა ერთმნიშვნელოვნად იქნება. რუსებმა თავად გადაწყვიტონ... აფხაზური რკინიგზის წარმომადგენლები თავისთავად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

**- ჩვენი მატარებლების სისწრაფე ევროპულ სტანდარტებს ჩამორჩება. არ განიხილება ამ სტანდარტებთან დაახლოების პროექტი?**

- ჩვენც დაგვაინტერესა ამ თემამ. ლიანდაგების დაგების ევროპული ტექნოლოგიური პროცესი სრულიად განსხვავდება ჩვენგან. სიჩქარე არ არის დამოკიდებული მხოლოდ ლოკომოტივზე, რომელმაც უნდა წაიყვანოს შემადგენლობა, ეს ვაგონების სტანდარტებზეც არის დამოკიდებული. ტექნოლოგიური პროცესი, რითიც ჩვენთან ლიანდაგებია დაგებული, მაქსიმუმ, 100 კილომეტრ-საათ სიჩქარეზეა გათვლილი. პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში გამორიცხულია ამაზე მეტი სიჩქარე, 100 კილომეტრი - იდეალური ვარიანტია. სხვა შემთხვევაში, მთლიანად უნდა შევცვალოთ ლიანდაგები, რისი საშუალებაც ახლა არ არის. შემდეგი წლისთვის გვინდა, სიჩქარე 75-80 კმ.სთ-მდე ავიყვანოთ.

**- რა ვითარებაა სარკინიგზო პარკში?**

- საუბედუროდ, რთულ მდგომარეობაშია. პარკი 11 486 ვაგონისგან შედგება. დღეისთვის 5 488 მოძრავი ვაგონი გვაქვს. გეგმა, რომელიც ამ წლისთვის შევიმუშავეთ, უმოძრაო პარკიდან 1 200 ერთეულამდე ჩვენი ძალებით აღდგენას გულისხმობს. დანარჩენი პარკი, რომელიც უმოძრაოა და ტრასებს ზღუდავს, გვინდა გავიტანოთ ტენდერზე იმ პირობით, რომ ამავე ვაგონების მინიმუმ 15 პროცენტი დაბრუნებული უნდა იყოს რიკინიგზაში. უპირატესობა უფრო სატვირთო შემადგენლობას მიენიჭება. ამის მსურველი რამდენიმე კომპანია უკვე გამოჩნდა.

**- ღამის მატარებლით ბოლოს როდის იმგზავრეთ?**

- სიმართლე გითხრათ, არ მიმგზავრია, რამდენჯერმე მცხეთამდე გავყევი.

**- ღამე თუ არ გაათიეთ, არ გცოდნიათ ღამის მატარებელი...**

- გააჩნია, რომელს გულისხმობთ. თუ ბათუმის ახალ მატარებელზე გვაქვს საუბარი, იქ შედარებით კარგი მდგომარეობაა. სხვაგან კი ვიცი, რომ რთული მდგომარეობაა. რაც შეგვიძლია, ეს არის, გავარემონტოთ კიდევ ერთი შემადგენლობა, უზრუნველვყოთ დეზინფექცია. ეს პროექტი გარკვეულ შეღავათს მოგვცემს.

**- ინსტიტუტი აღარ არსებობს, მომსახურე პერსონალსა და კადრებს საიდან მოიყვანთ?**

- კადრების განყოფილებაში ვაკანსიებია გამოცხადებული. გვაქვს კადრების მომზადების ცენტრი, სადაც ისინი მომზადებას გაივლიან.

**- აკაკი ჩხაიძის მერე დეპარტამენტის მესამე თავმჯდომარე ხართ. მისი შთამბეჭდავი აკვარიუმი ისევ დგას?**

- დიახ.

**- ჩხაიძის დროინდელი რა ტრადიციები დაგხვდათ და ეთანხმებით თეზისს, რომ რკინიგზა რკინიგზელმა უნდა მართოს?**

- ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება რკინიგზაში მუშაობენ, ამ სტრუქტურისთვის აუცილებელია. ახალი კადრის აღზრდას, რომელიც რომელიმე სამსახურს ჩაიბარებს, მინიმუმ ერთი წელი ჭირდება. ძველი კადრების უმეტესი ნაწილი მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა და ნამდვილად არ ვაპირებთ მათთვის რთული პირობების შექმნას.

რაც შეეხება ტრადიციებს – ჩხაიძის დროინდელ რკინიგზასთან შეხება არ მქონია. ერთადერთი შემთხვევა მახსოვს - როდესაც თელასში ვმუშაობდი, დავალიანების გამო რკინიგზის საავადმყოფოს დენი გავუთიშეთ. როგორც ჩანს, რკინიგზის დეპარტამენტმა კარგად ვერ გაიაზრა, რას ნიშნავდა დამოუკიდებელი კერძო კომპანია და ოფიციალური დავალება გამოგვიგზავნეს, დენი ჩართეთო. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს არ გავაკეთეთ...

ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა იყოს მენეჯერი და არ არის აუცილებელი, იყოს რკინიგზელი. გენერალურმა დირექტორმა უნდა მოახერხოს ამ ორგანიზაციის თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტირება, რადგან ეს ორგანიზაცია თავისი შინაარსით დღევანდელობას ჩამორჩება.

რკინიგზაში უსაფრთხოების ნორმები უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ეს არ ნიშნავს სარისკო გადაწყვეტილებების შეზღუდვას.

**- როგორ მუშაობს რკინიგზა ამ ენერგოკრიზისის პირობებში?**

- ენერგეტიკული კუთხით, ამ დღეებში და ამ ამინდში შეფერხება არ გვქონია და ამისთვის ენერგეტიკის სამინისტროს მადლობა მინდა ვუთხრა. გვაქვს რეზერვი, გვყავს თბომავლები. მგზავრების ნაკადი დიდია, განსაკუთრებით ზუგდიდის მიმართულებით და ადგილობრივი ადმინისტრაციის მოთხოვნით, შემადგენლობა დავამატეთ. უსაფრთხოების კუთხით, შეიძლება ეს გამართლებული არ იყოს, მაგრამ ვერ შევფერხდებით.

**- ხშირად, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, სალაროში ბილეთი არ არის და მატარებლები ცარიელი დადის, იცით ამის შესახებ?**

- ამის აღკვეთის ერთადერთი გზა არსებობს. საქართველოს 41 სადგურში იყიდება ბილეთები და აქედან მხოლოდ 12 სადგურია მიერთებული ერთიან, ცენტრალიზებულ ქსელში. ამ წლის განმავლობაში ყველა ეს სადგური ჩაერთვება და ბილეთების ადმინისტრირებას მოვახერხებთ.

მეორე საკითხი იმ გამცილებლების მკაცრი კონტროლია, რომლებიც პრობლემას ხელოვნურად ქმნიან. ზუგდიდში ახლაც ზის ჩვენი გენინსპექცია და თვალყურს ადევნებს ამ პროცესს. არის აგრეთვე ვაგონების დეფიციტის პრობლემაც. სამწუხაროდ, ჩვენი სარკინიგზო პარკი საუკუნის მოთხოვნებს არ შეესაბამება.


გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**





## ყურადღება!

**დაიკარგა ლაიკა "ხასკი", ცისფერი თვალებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. შეტყობინებისთვის გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონზე 899 14 02 77**